# სახალხო გაზეთი

№ 918 პარასკევი, 14 ივნისი 1913 წ. № 918

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი №12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა



სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი თიბათვიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **5 მ. 25 კ.**

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

---

ახალი კლუბი

(საზაფხულო თეატრი)

რადგანაც კონცერტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ხალხმა განმეორება სთხოვა **შაბათს, 15 ივნისს,** შესდგება კომპოზიტორისა და სწავლული მკვლევარის

დ. ი. არაყიშვილის

პატივსაცემი საღამო.

საღამოზე შესრულებული იქნება **მისი ვოკალური და ინსტრუმენტალური** ნაწარმოებნი. მონაწილეობას მიიღებენ: მსახიობი **ი. პ. სარაჯიშვილი,** ბარიტონი **გ. გ. ლვინიაშვილი** და ახალი კლუბის სიმფონიური ორკესტრი **დ. ი. არაყიშვილისა** და **გ. ი. ზელიონის** ლოტბარობით. დაწვრილებით აფიშებში. ადგილების ფასი 50 კ. 2 მანეთამდე **დასაწყ. სად 8-ნახ. ს.** ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. კლუბში შესასვლელს იხდიან: კაცები 50 კ., ქალები და სტუდენტები 25 კ. 1234

---



პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 14 ივნისს,**

გაიმართება ძველ საბერძნეთის მიხედვით

საღამო ოლიმპიის ბარჯიშობისა.

დღეს პროგრამა გამოცვლილია. ახალ მსახიობთა გასტროლი. გასტროლი **კორდე-ბალეტისა,** ბალეტი მოწვეულია ვარშავის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინა **ქ-ნ ალექსისაგან.** დებიუტი ახალი არტისტებისა, დებიუტი ლამაზი ტურნისტის **ბ. ლვოვისა.** გასტროლი დამსახურებული მსახიობის **ბულგარელ ქალის ქ-ნ თამარისა.** დებიუტი ცნობილ ამერიკელ დეტექტივისა „ბორკილების მეფის" **გუგო-გუგოლსტისა.**

**ანონსი:** ვალიდან დაიწყება გასტროლი ერთად-ერთ ცნობილ საუნივერსალო მსახიობისა **ბ. ადოლფისა.**

**დასაწყ. სად. 8 ს.** დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

364 გამგე **ლ. მ. ხუნდაძე.**

---



ძმ. აზგარცების ცირკი

**მიხეილის პროსპ., № 131, ,,აპოლლოს'' თეატრის გვერდ.**

**პარასკევს, 14 ივნისს გაიმართება ჯერ არ გამართული**

საბენეფისო წარმოდგენა.

დღეს **ბენეფისია** ცნობილ ევროპიელ ფენომენ ქალისა **სტრელოკისა** წოდებული XX საუკ. დიანად. **მისს ვინჩესტერ** დღეს მობენეფისე აჩვენებს განსაცვიფრებელ ნომრებს.

დაწვრილებით პროგრამებსა და აფიშებში.

პატივისცემით **ძმ. აზგარცები.** 365. გამგე **მ. ი. ლოტვინოვი.**

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახელობის ქალაქის სახალხო სახლთან**

არსებული ქართულ სახალხო წარმოდგ. მმართველი წრის გამგეობა ამით აცხადებს, რომ წრის წევრთა

საზოგადო კრება,

რომელიც 9 ივნისს არ მოხერხდა, დანიშნულია 18 ივნისს საღამოს 6 საათზე იქვე—ზუბალაშვილის სახალხო თეატრის შენობაში. განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) გამგეობის ანგარიში მამავალ წლისა, 2) გამგეობის მოხსენება წესდების ზოგიერთ მუხლების ცვლილების შესახებ, 3) გამგეობის მოხსენება ქართ. სახ. წარმოდგენების უკეთესად მოწყობის შესახებ, 4) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ 1913/14 წ., ახალი წევრების დამტკიცება, არჩევნები ახალი გამგეობის წევრებისა და სარევიზიო კომისიისა.

ვისაც სურს **1912/3 წ. ანგარიშების მიღება,** ვთხოვთ ამისათვის მობრძანდნენ წრის კანტორაში (მიხეილის ქუჩა, სახ. № 102 ბინ. 8) ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. (—1160—)

---

სამკურნალო ტალახი

,,ახტალა''

(ტფილისის გუბერნ., სიღნაღის მაზრა, **სოფ. გურჯაანში**).

სეზონი იწყება 15 ივნისს, თავდება 20 აგვისტოს.

**ჰკურნავს ქარებისა, კანისა (ეგზემა, ქეცი და სხ.), ნერვებისა და სხვა ავადმყოფობას.**

იქვე შეიძლება შოვნა ბინებისა, მოწყობილობილობით. ფასი მთელი სეზონით სულზე 2 მან., ბავშვები უფასოდ. სოფელში არის **ქსენონი და ექიმი.**

**ცნობებისათვის მიმართეთ:** (წერილობით ან პირადათ): ტფილისში, ველიკოკნიაზის ქ., № 15, **გენერ. თ-დ მაყაშვილს;** ადგილობრივ კი ტალახების **გამგეს.** 1353

---

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

აკაკის თხზულებანი:

| | | | |
|---|---|---|---|
| რჩეული ლექსები | ფასი 10 კ. | სიტყვა თქმული ერთს არჩევანზე | ,, 10 ,, |
| ალექსი, (საყმაწვილო ზღაპარი | ,, 10 ,, | სიმღერა, | ,, 15 ,, |
| ბაგრატ დიდი (ისტორ. პოემა) | ,, 10 ,, | ყვითელი სანთელი | ,, 10 ,, |
| გამზრდელი, (პოემა) | ,, 5 ,, | ქუთათლის სიზმარი | ,, 5 ,, |
| გოგია მეჩონგურე, | ,, 5 ,, | ჩემი ნაწერები, | ,, 75 ,, |
| გორის ციხე. | ,, 5 ,, | ჩემი თავგადასავალი, | ,, 1— ,, |
| დათუნა გოცირიძე, | ,, 5 ,, | წმინდა ნინო, | ,, 20 ,, |
| თამარ მეფე, | ,, 5 ,, | Избранныя Стихотв. Акакія | ,, 20 ,, |
| იგავ არაკნი, | ,, 50 ,, | თხზულებანი აკაკისა ტ. პირველი | ,, 1— ,, |
| ოთია მესხი და ადამ ბებურიშვილი, | ,, 10 ,, | ,, ,, ტომი მეორე, | ,, 1— ,, |
| მამლის ყ ვილზე | ,, 10 ,, | **ახლად გამოსული წიგნები:** | |
| ნათელა, | ,, 20 ,, | მოლიპულ გზაზე, ხოშტარ.-ქრისტ. | 1- 50 ,, |
| ნაცარქექია, (ზღაპარი) | ,, 10 ,, | კანონი დროებით ვალდებ. გლეხთა განთავისუფ. შესახებ, ა. ყიფშიძისა, | 30 ,, |
| ორი პუბლიც. სტატია, | ,, 10 ,, | ვეფხის ტყაოს. ინგლ. თარგ. უორდრ. | 6— |
| ოცნება, | ,, 10 ,, | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217.

---

ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.

შპალიერის (ОБОИ) ქარხანა

ძმ. ტარნოპოლებისა.

**განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21 ტელ. № 355**

**მიიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.**

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოა 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

**ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.** 1137

ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.

ოქროს მედალი ეკატერინოსლავის გამოფენაზე 1910 წ.

---

ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან.**

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი მ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12—1 ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** სამ., ხუთ., შაბ. 11—12 |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. **სულაკოვი ა. ი.** ყოველ დღე 2—1, |
| ბავშვთა სნეულბ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ | **გედევანიშვილი. მ ა.** შაბათობით 10½—11. **ჯავახიშვილი ნ. ნ.** ოთხშაბ., პარას. და კვირას 11—12 **ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2 |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათს, ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **,,606''** და **,,914'' წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. ზომიერი საფასურით. წ. 1035

---

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1 ½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—1½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს სამშა ათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა ,,606''-ით 1053

---

ვასწავლი

ქართულ **„სიმღერა-გალობას"**

და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზედ, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით, ოთხშაბ. და შაბათობ. საღ. 5—7 ს-მდე ავჭალის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც.** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში,** სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 349.

---

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

---

**ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი**

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 324

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე.**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე, საღამოს 6 ნახ.—8 ნახ. საათ. კათის ქ., № 6.

---

საზურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და ლიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

---

ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილის**, მუხრანის ქუჩა, **„შრომის"** სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 სა.თამდე. ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიასი. ტელეფ. 9-25.

**ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**

სწამლობს **ხაშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **გახსრების რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. შოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ., № 94,** კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 102

---

**ექიმი ივ. გომართელი** პირველი ივნისიდან პირველ ენკენისთვემდე ავადმყოფებს მიიღებს **ბორჯომში.** აგარაკი მირზოევისა. 307


# სახელმწიფო სათათბირო

(დეპეშათა პეტერ. სააგენტო)

## 12 ივნისის სხდომა

თავმჯდომარეობს **როძიანკო.**

სხვათა შორის შემოტანილი არის საკანონმდებლო განზრახვა ჩერნოგორიის გუბერნიის კავკასიის სანამესტნიკოსაგან გამოყოფის შესახებ.

**სავიჩი.** მოახსენებს მთავარი შტაბის ხარჯთ-აღრიცხვას; რომელიც უწყებას აქვს გამოანგარიშებული 16.619.624 მან. და რომელსაც საბიუჯეტო კომისიამ მიუმატა 76.382 მან. ადგილობრივ დაწესებულებათა შესანახად. მომხსენებელი მარტავს კომისიის აზრს შესახებ საიჯარო მიწებისა დონის გაღმა ველზე.

**ხარლამოვი** აღნიშნავს, რომ უწყებამ ყური არ ათხოვა იმ დადგენილებათ, ყაზახთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად რომელნიც მესამე სახელ. სათათბ. გამოიტანა და რომელთაც მაშინ უწყება სიამოვნებით ეგებებოდა. დონის ოლქის მცხოვრებლები ძალიან ცუდ პირობებში იმყოფებიან. საექიმო დახმარების საქმე ცუდად არის დაყენებული, მეურნეობის გაუმჯობესობას არ უწყობს მთავრობა ხელს; ერობის შემოღების საკითხის გადაწყვეტას აგვიანებენ. სხვა და სხვა ღონისძიება ყაზახების შესახებ მთავრობამ უკანონოდ შემოიღო, რადგან საკანონმდებლო დაწესებულებებს იგინი არ განუხილავს.

**ტასკინი** აღნიშნავს, რომ სამხედრო სამინისტრომ უნდა შემოიღოს ყაზახებისათვის სამიწლის სამსახურის ვადა. იქით მხარის ყაზახებს ეძლეოდეს შეიარაღებისათვის ფული. უწყებამ უნდა უშველოს და დაიფაროს ყაზახობა გაღატაკებისაგან ერობის შემოღებით.

**ჩერიაჩუკინი** მხარს უჭერს თავის ფორმულას, რომლითაც მოითხოვს განხილვას 1894 წ. 8 თებერვლისა და 1896 წ. 9 ივლისის კანონებისას, რომლის ძალითაც დონისა და კავკასიას ნაკაზნოი ატამანებს უფლება ეძლევათ დასაჯონ და გადაასახლონ ყაზახები შორეულ სტანიცებში 4 წლამდე.

შემდეგ ლაპარაკობენ **გრომოვი** და **ნაზაროვი.** მთავარი შტაბის ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია საბიუჯეტო კომისიის გამოანგარიშებით. მიღებულია ფორმულები საბიუჯეტო კომისიისა და **ჩერიაჩუკინისა,** საზღვაო-სამხედრო კომისიისა, რომ უწყებამ გამოარკვიოს ყაზახთა მდგომარეობა ფინანსიურისა და ეკონომიურის მხრით.

**ლევაშოვი** მოახსენებს მთავარ სამხედრო სამინისტრო უწყების ხარჯთ-აღრიცხვას და დასძენს, უწყების წარმომადგენელთა მოხსენებით, კომისიამ გამოარკვია, რომ უწყებას სისრულეში მოჰყავს ის დადგენილებანი, რომელიც სათათბირომ გამოიტანა. უწყების საქმეების მთლიანი მიმოხილვის წარმოდგენა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგანაც უწყება, მიმოხილვას მხოლოდ ამ მოკლე ხანში გამოსცემს. მომხსენებელი მხარს უჭერს საბიუჯეტო კომისიისაგან გამოთქმულ სურვილს, რომ ახლო მომავალში მოხდეს სამხედრო ექიმებისა და მხედრების უფლებათა გათანასწორება. მომხსენებელი ეხება სამხედრო აკადემიას და ამბობს, რომ ვრცელი მოხსენება და სჯაბაასი სამხედრო აკადემიის ახლად გამოსულ დებულების შესახებ მაშინ შეიძლება, როცა ამ დებულების შესახებ შემოტანილი შეკითხვა იქნება განხილული. მხოლოდ ახლა შემიძლიან აღვნიშნო, რომ ამ მოკლე ხანში მომხდარმა სამხედრო-სამედიცინო აკადემიის რეფორმამ შეაფერხა სწავლის საქმე, ტანჯულთათვის დახმარების საქმე.

**შინგარევი,** აღნიშნავს, რომ ამ 10 წლის განმავლობაში ჯარში დაიხოცა გაცილებით მეტი ხალხი, მაგრამ არა მტრის ტყვიისაგან, არამედ გადამდები და ეპიდემიური ავადმყოფობით. სტატისტიკური ცნობები უწყებისა ძალიან ცუდად არის შედგენილი, ვერ არის დამარწმუნებელი და სხვადასხვა ადგილი ეწინააღმდეგება ერთმანეთს. სამხედრო-სამედიცინო უწყება გაიტაცა ქაღალდზე საქმის წარმოებამ, და, მეცნიერებისაგან ძალიან მოშორებით მდგარს, უნდა დაიმქვემდებაროს ისეთი სამეცნიერო-სამოსწავლო დაწესებულება, როგორიცაა სამხედრო-სამედიცინო აკადემია. ორატორი განცვიფრებაში მოჰყავს იმას, რომ სამხედრო უწყების ხელმძღვანელებმა დააკანონეს ისეთი დებულება, რომელიც სენატისგან არ იყო გამოქვეყნებული. ორატორს შეაქვს ფორმულა: რადგანაც სამხედრო აკადემიის ახალი დებულება არა კანონიერად არის შემოღებული და წინააღმდეგ ძირითად კანონების მე-92 მუხლისა, სენატისაგან გამოქვეყნებამდე უწყების ეს დებულება კანონიერებას ჰკარგავს თავის თავად. აკადემიის ნორმალი ცხოვრების აღსადგენად საჭიროა დებულება წარმოდგენილი იყოს საკანონმდებლო დაწესებულებაში.

სათათბირო მორიგ საქმეების განხილვას იწყებს.

**ლევაშოვის** აზრით, ასეთი ფორმულის შემოტანა საჭიროა მაშინ, როდესაც სათათბირო შეკითხვის განხილვას შეუდგება. ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია კომისიის გამოანგარიშების მიხედვით. კომისიისაგან გამოთქმული სურვილი მიღებულია ერთხმად.

შინგარევის ფორმულა მიღებულია წინააღმდეგ მემარჯვენეებისა და რამდენიმე ნაციონალისტისა.

**ანტონოვი** მოახსენებს სამხედრო სასამართლო უწყების ხარჯთ-აღრიცხვას.

თავ. **მონსირევი** აღნიშნავს, რომ უხერხულია პოლიტიკური საქმეების სამხედრო-სასამართლოებისთვის გადაცემა, რადგანაც იქ არც ოქმები იწერება და არც დასაბუთებული ოქმები გამოაქვთ, ამიტომ განსაჩივრების საქმე შევიწროებულია.

**ზამისლოვსკი** ამბობს: არც ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იცის დასაბუთებული განაჩენის გამოტანა, არ შეაქვთ ოქმში მოწმეთა ჩვენება, არსებითად განსაჩივრება გამოტანილი დადგენილებისა არც იქ შეიძლიბა. მაშასადამე, თუ სამხედრო-სასამართლო არ არის—სასამართლო მაშინ ამ თეორიის მიხედვით არც ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო იქნება—სასამართლო. მაგრამ მაინც სამოქალაქო სასამართლოს საქმეების სამხედრო სასამართლოებისათვის გადაცემა არა ნორმალი მოვლენაა და, რაც მალე მოეღება ბოლო, უკეთესი იქნება (ტაში მარჯვნით).

**კერენსკი** ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დამცველად გამოდის: მოაქვს მაგალითები სამხედრო სასამართლოთა შეცდომისა, უკვირს, როგორ ახერხებენ ზოგიერთნი ნაფიც მსაჯულთა და სამხედრო სასამართლოს შედარებას, როგორ ახერხებენ დასცინონ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს — სასამართლოს იდეას (ტაში). რასაკვირველია ვერ დასდებ ბრალს სამხედრო სასასართლოს მოსამართლეს მთელი სისტემის შედეგისათვის, როდესაც განაჩენის გამოტანა „ზემოდან" ზედგავლენას განიცდის.

**ზამისლოვსკი** აცხადებს, რომ იგი სრულიად არ დასცინოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. სამხედრო სასამართლოში შეცდომებს ადგილი აქვთ, მათი პროცენტი მეტია იქ, ვიდრე სხვა სასამართლოში, მაგრამ შეცდომითი განაჩენი ყოველ სასამართლოში შესაძლებელია. ორატორს უაზროდ მიაჩნია ის მაგალითები, რომელიც კერენსკიმ მოიტანა.

**როდზევიჩი** ამბობს: არ შეიძლება ნაფიც მსაჯულთა და სამხედრო სასამართლოს შედარება. ყოველიფერს საზღვარი აქვს. მთელი რუსეთი თხოულობს სამხედრო სასამართლოდან ნაფიც მსაჯულებისა-

თვის საქმეების გადაცემას (ტაში მარცხნით).

ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია.

**სავიჩი** (?) მოახსენებს საზღვაო სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც კომისიამ შეამცირა 2.349,975 მან. მომხსენებელი აღნიშნავს: უწყება სიხარულით ეგებება სათათბიროსაგან გამოთქმულ სურვილს, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის სრულ ყოფამდე. ჩვენ ვაშენებთ გემებს ყველაზე ძვირს და ყველაზე გვიან და არ არის გარკვეული გეგმა ფლოტის გაძლიერებისა. მრეწველთა სინდიკატებიც ხელს უშლიან სიჩქარით მუშაობას. უწყება არ ებრძვის მათ საჭირო ენერგიით. მეზღვაურები ვერ არიან კარგად მომზადებული. სათათბიროს მოხსენდაის სურვილი, რომელიც საბიუჯეტო და საზღვაო-სამხედრო კომისიებმა გამოსთქვეს.

**ბადაევი** ს.-დ. მხრით აცხადებს:— ხალხის ფული ფლოტისა და ჯარისათვის იხარჯება, ს.-დ. ამის წინააღმდეგია. აცხადებს შესაფერს ფორმულას, რომლის კითხვის დროსაც თავმჯდომარე აწყვეტინებს სიტყვას. ხარჯთ-აღრიცხვა მიღებულია, აგრეთვე ფორმულა და სურვილი გამოთქმული კომისიისაგან.

**შინგარევი.** მოახსენებს ხარჯთ-აღრიცხვას სახელმწიფო საკონტროლო უწყებისას და ამბობს, რომ სახელმწიფო საკონტროლო უწყებას არ შეუძლიან იყოს სახელმწიფოს ორგანო და გარდა ამისა მინისტრთა საბჭოსაგან დამოკიდებული. ეხლა უწყების მოქმედება ვერ არის საკმაყოფილო. წარმოდგენილი ანგარიშები არ შეიცავენ იმას, თუ რამდენი ბოროტ-მოქმედებანი აღმოუჩენია უწყებას. საბიუჯეტო კომისია წინადადებას იძლევა მიიღოთ ფორმულა, რომ საჭიროა მოეწყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო—საკონტროლო ორგანო, მთავარი კონტროლიორი უნდა იდგეს უწყების სათავეში, მაგრამ მინისტრთა საბჭოს გარეშე არ უნდა იცვლებოდეს მთავარი კონტროლიორი. უნდა შემოღებულ იქნეს წესი, რომლის ძალითაც მთავარმა კონტროლიორმა უნდა წარმოუდგინოს საკანონმდებლო დაწესებულების ანგარიში რევიზიისა და მისი აზრი რევიზიის შედეგის შესახებ. აგრეთვე წარმოუდგინოს თავის აზრი შესახებ უწყებათა ხარჯთ-აღრიცხვისა. უნდა გავრცელდეს უფლება სახელმწიფო კონტროლისა ამურის იქით მდებარე ოლქის სამზღვრის დარაჯებზე, აგრეთვე უნდა გავრცელდეს კონტროლი აღმოსავლეთ ჩინეთის გზაზე და უნდა წარმოდგენილი იყოს უმახლობელეს ხანში იმ კომისიის რევიზიის შედეგი, რომელიც რევიზიას უკეთებს რუსეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებულ ანგარიშებს.

**სახელმწიფო კონტროლის** ამხანაგი პროტესტს აცხადებს იმის შესახებ, ვითომც მოხელეთა დაწინაურება დამოკიდებული იყოს უფროსების სიამოვნებაზე.

**გოდნევი.** გამოსთქვამს სურვილს, რომ კონტროლს დაექვემდებაროს კერძო რკინის გზები.

მიღებულია ხარჯთ-აღრიცხვა, კომისიის ფორმულა და სურვილი გოდნევისა.

**რატკოვ-როჟნოვი** მოახსენებს ხარჯთ-აღრიცხვას სახელმწიფო კრედიტის გეგმისას. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ყველა განყოფილებას ძალიან კარგად აქვს დაყენებული საქმე ტეხნიკურად; აგრეთვე აღნიშნავს შრომის უნარიანობას ფინანსთა სამინისტროს მოხელეებისას. სახელმწიფო კრედიტი, საქმის კარგად დაყენების გამო ძალიან კარგ მდგომარეობაში იმყოფება, როგორც რუსეთში ისე საზღვარზედ.

ხარჯთაღრიცხვა მიღებულია. მიღებულია ხარჯთ-აღრიცხვა გზათა სამინისტროს საგანგებო ხარჯებისათვის.

**საბიუჯეტო კომისიის** თავმჯდომარე მოახსენებს შემოსავალთა ხარჯთ აღრიცხვას და აღნიშნავს, რომ შესასწორებელია შემოსავლის ანგარიში, უნდა მიემატოს შემოსავალს 17.261.000 მან. აქედან 16.960.000 მან. მიემატება სპირტის წარმოებიდან. სულ შემოსავალი აღინიშნება 3.250.559.006 მან. (ხანგრძლივი ტაში). მიღებულია პოლოვცევის ფორმულა: სასურველია სამინისტრომ განიხილოს მოკლე ხანში გადასახადების გეგმა, რათა განთავისუფლებული იყვეს გადასახადისაგან პირველი საჭიროების ნივთები.

შემოსავალ - გასავლის ხარჯთ-აღრიცხვისგან-ხილვა გათავდა.

**საბიუჯეტო კომ. თავმჯდ.** გამოდის მოხსენებით 1913 წ. სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვისა. ალექსენკო ამბობს, რომ ფინანსთა მინისტრისაგან გამოანგარიშებულ ხარჯთ-აღრიცხვას კომისიამ მიუმატა 10.493.843 მან. შემდეგ სათათბირომ კიდევ მიუმატა 12.491.469 მან. სკოლების ასაშენებლად 6 მილიონი, რკინის გზების საექსპლოატაციოდ 3 მილიონი. შემოსავალი აღემატება ხარჯს 19.831.666 მან. საბიუჯეტო კომისია წინადადებას აძლევს სათათბიროს ეს ფული გაიღოს სარკინისგზო საქმეთა მოსაწესრიგებლად.

**ალექსეენკო** აცხადებს ხარჯთ-აღრიცხვის კანონ-პროექტს. პროექტი მიღებულია. სათათბირო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ალექსეენკოს ტრიოვაციას. ბუნიდან ჩამოსვლის დროს უმართავს გამოქვეყნდა სოც.-დემოკ. საჩქარო შეკითხვა, რომელიც ეხება ადმინისტრაციის ჩარევას ქიათურის მუშათა ეკონომიურ მშვიდობიან გაფიცვაში. **ჩხეიძე** იცავს შეკითხვის სიჩქარეს. სიჩქარე უარყვეს.

სალამოს-სხდომას თავმჯდომარეობს **ლვოვი.** გრძელდება განხილვა პოლონეთის საქალაქო დებულების შეცვლის პროექტის 10—18 მუხლისა.

**მალინოვსკი** აღნიშნავს პოლონეთის ქალაქების სანიტარულ მდგომარეობს და ამბობს, რომ მის გაუმჯობესობით დაინტერესებულია არა მარტო შეძლებული კლასი, არამედ პროლეტარიატი; მოჰყავს ციტატები პოლონურ პრესიდან, რომელიც ამ კანონპროექტს რუსების საუპირატესო ღონისძიებათ სთვლის, ხოლო ამცირებს პოლონელებს და ებრაელებს კი მესამე ხარისხის მოქალაქეებად სთვლის. ორატორი დასძენს, რომ კოლო ისევ მზადაა როგორც დეპ. კერენსკიმ აღნიშნა... თავმჯდომარე სიტყვასართმევს მოლაპარაკეს (ტაშისცემა მარჯვნივ და ცენტრში).

**ფრიდმანის** აზრით პოლონეთის ქალაქების ეკონომიური აყვავება ებრაელობის წყალობაა. ახლა-კი „ნაროდოვაი პარტიის“ სასიხარულოდ ქალაქის თვითმართველობათა საქმეს მხოლოდ პოლონური ბურჟუაზიას აბარებენ. ცენზის ამაღლება უფლებას წაართმევს არა თუ მხოლოდ ებრაელებს, არამედ რუსებსაც, რომელთა უმეტესობას წვრილი მოხელენი შეადგენენ.

**გარუსევიჩს** ჰგონია, რომ კადეტები პოლიტიკურ ასკეტიზმს გზაზე აყენებენ კოლოს, პოლონელებს არ მიუნდვიათ კადეტებისათვის დარიგების კითხვა ისეთ საქმეებზე, რომლებიც პოლონეთს და მის ხალხს ეხება. საზოგადოდ ორატორი უსაყვედურებს კადეტებს პრინციპის უქონლობას ამ საქმეში.

**ბომაში** პროტესტს აცხადებს ებრაელების უფლებათა შეკვეცის წინააღმდეგ და მოითხოვს, რომ მათ პოლონელებივით თანასწორი უფლება ჰქონდეთ, როგორც ქალაქის თვითმმართველობაში ისე სხვა საკულტურო დაწესებულებებში.

**იაგალო** აღნიშნავს, რომ მუშები ამ კანონ-პროექტის ძალით სრულიად მოწყვეტილნი არიან ქალაქის თვითმმართველობის მიუხედავად იმისა რომ იგინი ყველაზე უფრო დაინტერესებული არიან ამ საქმით.

**როდიჩევი:** მე ველოდი განცხადებას, რომ პოლონელები სარწმუნოების მიხედვით უფლების შეკვეცას უსამართლობად ჩასთვლიდნენ და ამიტომ იგინი იტყოდნენ, რომ იძულებული ვართ ასეთი კანონპროექტი მივიღოთ, მაგრამ ეს მათ არ განუცხადებიათ. დარიგებას არავინ აძლევს პოლონეთის კოლოს, მხოლოდ სხვის უფლებათა დაცვის მოწოდება არ ნიშნავს გაკვეთილის მიცემას.

**შინგარევი** აღნიშნავს, რომ რასაკვირველია კომპრომისის პრინციპი უნდა მივიღოთ, მაგრამ აქედან ის არ გამომდინარეობს თითქოს მას უნდა შეეწიროს ძირითადი თვისებანი უფლებისა და სამართლიანობისა. კადეტები ვერ დასთანხმდებიან იმ აზრს, თითქოს პოლონეთში პოლონელებს გარდა არავინ სცხოვრობდეს და ამიტომ პოლონელების გულისათვის იგინი მსხვერპლად ვერ შესწირავენ სხვა ერთა უფლებას.

10—18 აგრეთვე 19—20 მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს. 21 მუხლი აღნიშნავს, რომ საქალაქო არჩევნების დროს საარჩევნო ბარათები შესაძლებელია პოლონურ ენაზე დაიწეროს. 8 ქალაქში კი და ამათ რიცხვში სუვალკოშიაც. ლიტვიურზე.

კანონ-პროექტი მიიღეს 145 ხმით 45 წინააღმდეგ.

## სახელმწიფო საბჭო

**12 ივნისის სხდომა.**

**გოლუბევი** თავმჯდომარეობს. საბჭომ საფინანსო კომისიის მოხსენებით 2 მცირე კანონ-პროექტი მიიღო და ზოგიერთი სხვა მცირე კანონ-პროექტიც. კომისიისავე მოხსენებით საბჭომ მიიღო მეოთხე სათათბიროს უკანასკნელ რედაქციით კანონ-პროექტი, რომელიც აკანონებს სამეტრიკო წიგნებში შეუტანელ სტაროობრიადცებისა და სექტანტების კორწინებას, აგრეთვე იმ ჯვრისწერას, რომელიც სხვა და სხვა სჯულის წესისამებრ მოხდა, იმათთან, ვინც 1905 წლის 17 აპრილამდე მართლ-მადიდებლად ირიცხებოდა. შემდეგ საბჭომ მიიღო შესწორება სასამართლოში ვალის ასაღებ საჩივრების შესახებ, იმ მოვალეთაგან, რომელთა ბინა უცნობია. ამ კანონის მიზანია მოსპოს ის გარემოება, როდესაც პასუხისმგებელი თავიდან იცდენს პასუხისგებას და სასამართლოში მისვლას. ამის გამო თუ კი მოპასუხე სასამართლოში არ გამოცხადდა, მას დაენიშნება მზრუნველი, რომელიც მის მაგიერ წაიყვანს საქმეს. კომისიამ დაინახა, რომ ამ კანონის ძალით მომჩივანის მდგომარეობა გაუმჯობესდება, მხოლოდ პასუხისმგებლობისა კი—ცუდი იქნება. ამიტომ კომისია საჭიროდა სცნობს დაწესდეს მოპასუხეთა დამცველების ინსტიტუტი. კანონ-პროექტი კომისიის რედაქციით უკამათოდ იქმნა მიღებული. შემდეგ საბჭო შეუდგა ღვინის გაკეთების, გაყიდვის და შენახვის კანონ-პროექტის განხილვას და აგრეთვე იმ დამატებით ცნობებს, რომელთა დანიშნულებაა სახალხო ჯანმრთელობის დაცვა. საგანგებო კომისიის მომხსენებელმა **პალიცინმა** მაზე მიუთითა, რომ რუსეთის კანონმდებლობაში, რომელსაც სანოვაგის ფალსიფიკაციასთან ბრძოლა აქვს მიზნად, მეღვინეობის შესახებ კანონ-პროექტი პირველი დაწვრილებით შემუშავებული კანონია. ფალსიფიკაცია რუსეთში თანდათან ძლიერდება. და იმიტომ დავეშურეთ ამ კანონ-პროექტის დამუშავებასაო. წამოყენებულმა კანონ-პროექტმა ეს უარყოფითი მხარეები უნდა მოაცილოს მეღვინეობას და გარდა ამისა დაიცვას როგორც მეღვინეების ისე მომხმარებლების ინტერესები. საბჭომ კანონ-პროექტი მიიღო კომისიის რედაქციით და აგრეთვე შესწორებით: ზურაბოვისა (მეცხრე მუხლის შესახებ) რომ აეკრძალოს ღვინოში სახარინის და სხვა ასეთი ნივთიერების შერევა და სუხომლინოვისა, რომ ნება მიეცეს, საკუთარის ღვინით მოვაჭრეთ ბოთლებზე დააკრან ეთიკეტები თავიანთი ფირმებისა, აგრეთვე რამდენიმე წვრილი შეცვლა შეიტანა ფალსიფიკატორების სასჯელის შესახებ. ამ ცვლილებათა გამო კანონ-პროექტი განსახილველად კვლავ სათათბიროში დააბრუნეს. შემდეგი სხდომა 19 ივნისს მოხდება.

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** სამი დღის წინად გაჩხრიკეს და დააპატიმრეს სტუდენტები: ს. მდივანი, შ. საყვარელიძე, ქ. რაჭველიშვილი, ვ. კარბელაშვილი, შ. აგლაძე და ვ. ეგნატაშვილი. გაჩხრიკეს აგრეთვე არ. ჯაჯანაშვილის ბინა და „სახალხო გაზეთი“-ს რედაქცია, წაიღეს სარედაქციო დიდძალი მასალა.

✦ **უხვი შეწირულება.** ზუბალაშვილის მემკვიდრეებმა ქალაქ ტფილისს კიდევ 120,000 მან. შესწირეს. ამ ფულით უნდა გაშენდეს საზაფხულო ბაღი თეატრით და გადაკეთებულ იქმნა საზამთრო თეატრი სახალხო სახლში, რომელიც აგრეთვე მათის ფულით არის აგებული.

✦ **ხორცის ნიხრი.** ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიამ გირვანქა ხორცზე შემდეგი ნიხრი დააწესა: ბატკნისაზე—18 კ., ცხვრისაზე—16 კ., ძროხისაზე—14 კ. და კამბეჩისაზე—8 კ.

✦ **მევენახეობა.** მომავალ კვირია მევენახეობისა და მეღვინეობის ტფ. საგუბერნიო კომიტეტი თელავისა, ვარდისუბნისა და კურდღელაურის ვენახების გამოკვლევას შეუდგება. ამ აზრით იქ ჰგზავნის ორს ახლად მოწვეულ ინსტრუქტორს და ოთხს გამომკვლევს.

✦ **ტფ. საბირჟო კომიტეტი** სტამბოლში არსებულ რუსულ სავაჭრო კომიტეტის წევრად ჩაირიცხა.

✦ **ტრამვაის დაჯარიმება.** ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ ტრამვაის დირექცია კიდევ 15,120 მანეთით დააჯარიმა, რადგანაც მაისის განმავლობაში ქალაქში ტრამვაის ვაგონთა საკმარისი რიცხვი არა მუშაობდა.

✦ **ი. ი. წინამძღვრიშვილის ავადმყოფობა.** ამ სამის დღის წინად მიხეილის ქუჩაზე ეტლი დაეჯახა და მსუბუქად დააშავა ჩვენში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე, წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებლის დამაარსებელი, ნოტარიუსი ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილი. იგი სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს და იქ მოათავსეს. ბ-ნი წინამძღვრიშვილი ამ ჟამად თავს უკვე კარგად გრძნობს და დღეს საავადმყოფოდან გამოწერას აპირობს.

✦ **ექსკურსია.** კვირას, 16 ივნისს დილის 8 საათსა და 6 წუთზე, მცხეთის საგარაკო მატარ[illegible] მაზის მონასტერის დასათვალიერებლად მიემგზავრება ექსკურსია. მსურველნი საგარაკო მატარებლების სადგურზე უნდა მივიდნენ.

✦ **ექსკურსია მცხეთაში.** დღეს, დილით, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს სამრევლო სკოლის მოსწავლენი, რიცხვით 50 კაცი, მღვდლის გ. გამრეკელისა და მასწავლებლის კ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით მცხეთას მიემგზავრებიან. მოსწავლენი ვიდრე ღირს-შესანიშნავ ადგილებს დაათვალიერებდნენ, მცხეთის ტაძარში გადახდილ იქნება პანაშვიდი იმ ქართველ მეფეთა სულის მოსახსენებლად, რომელნიც ამ ტაძარში არიან დასაფლავებულნი. პანაშვიდის დროს იგალობებს მოსწავლეთა გუნდი კ. ჩარკვიანის ლოტბარობით. მოსწავლენი ტფილისს დღესვე, სალამოს, დაბრუნდებიან.

✦ **ხუდადოვის ჭალის** მოიჯარადრეს ქალაქის გამგეობამ ნება დართო, სამხედრო მუსიკა მოიწვიოს ჭალაში.

✦ რედაქციამ მიიღო „**თხზულება გიორგი მაქსიმეს ძის ქოჩაქიძისა (ჭალადიდელის**), თხზულება ერთს პატარა ტომს შეიცავს, გ. იონა მეუნარგიას მიერ დაწერილი, ავტორის ბიოგრაფიითა და ბ. ი. გომართელის კრიტიკული მოკლე წერილით. წიგნი უბრალოდ და სადათაა გამოცემული.

✦ **საბირჟო ცნობები.** 13 ივნისს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა, აფასებენ 85 მან. 50 კ., აძლევენ—85 მან. 20 კ., ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—83 მ. 15 კ., აძლევენ—82 მან. 70 კ. და ქუთაისის სათავ.-აზნაურო სადგილ-მამულ. ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ—80 მ. 25 კ., აძლევენ—79 მ. 40 კ.

✦ ქალაქის გამგეობამ სამი კაცი მოიწვია და დაავალა, ხელმძღვანელობა გაუწიონ ბინის შოვნაში ექიმთა და ბუნებისმეტყველთა მეცამეტე კრების წევრებს, რომელნიც ტფილისს ჩამოვლენ.

✦ წელს **ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლა** დაამთავრა 21 ქალმა; გედევანიშვილი ელისაბედი პატის ასული, კვირიკაშვილი ვერა ექვთიმეს ასული, გოგლიძე ნინო ივანეს ასული, მაისურაძე ნინო პავლეს ასული, დავლიანიძე ელისაბედი ივანეს ასული, ნუცუბიძე პელაგია დავითის ასული, ილურიძე დარია პეტრეს ასული, კვლაშვილი სოფიო ივანეს ასული, ყიფიანი ბარბარე მოსეს ასული, მათეშვილი ანნა ალექსანდრეს ასული, ხუროშვილი ანნა სვიმონის ასული, მახაშვილი სოფიო ალექსის ასული, ქანთურია პრასკოვია ალექსის ასული, მაჭავარიანი ნინო იორდანეს ასული, სოხაშვილი ელი-

# PRO ALBANIA

(შემდეგი *)

გიორგი კასტრიოტას შემდეგ ალბანეთის ცხოვრებაში მეორე ადგილი უჭირავს **ალექსანდრე დუკადშინს**, რომელმაც შეჰქმნა **„ალბანეთის მთების კანონები“** გადმოცემის მიხედვით დუკადშინის გვარეულობა მფლობელობდა მდინარე დრინისა და ოროშის შუა მცხოვრებ თემებს, სადაც ახლაც უჩვენებენ ამ კანონმდებლის კოშკის ნანგრევებს. ალექსანდრე დუკადშონმა ხალხის ზნე-ჩვეულების მიხედვით შეადგინა სათემო კანონები, რომელნიც დღესაც დაცულნი არიან მთელს ალბანეთში, გარდა მცირე გამონაკლისისა, თვისი პირველყოფილ სიმარტივით; განსაკუთრებითკი მაღლობ ალბანეთის თემთა შორის.

ამ კანონთა და ჩვეულებათა აღსრულების დარაჯებად არიან **ბაირახტრები**—ანუ თემის წინამძღოლნი, **კრიუზები**—წარმომადგენელნი თემის ერთი ნაწილისა და **გიობარები** სხვა და სხვა გვარეულობის წარმომადგენელნი.

**ბაირახტარი** ზრუნავს მთელი თემის კეთილდღეობისათვის. საჭიროების დაგვარად ის წელიწადში რამდენჯერმე შეჰყრის თავის თემს და თავისივე თავმჯდომარეობით განიხილს ყველა იმ საქმებს, რომელიც მთელ თემს შეეხება. ამ ყრილობებს (კუვებს) მოვალენი არიან დაესწრონ არა მარტო კრიუზები და გიობარები, არამედ მთელი თემი ანუ, სულ ცოტა, ყველა ოჯახის თითო წარმომადგენელი. კუვების გადაწყვეტილება სავალდებულოა მთელი თემისათვის. ბაირახტარი წინამძღვრობს აგრეთვე ომში. მისი თანამდებობა და ღირსება შთამომავლობითია და გადადის მამისაგან უფროსს შვილზე; და თუ ეს უკანასკნელი მცირე წლოვანია, დროებით—მახლობელ ნათესავზე. გარეგნობით ბაირახტარი სრულიად არ განირჩევა თავის მოთემეებისაგან, მხოლოდ მას უფლება აქვს ჯარიმების შემოსავლის ერთ განსაზღვრულ ნაწილზე.

ზოგ თემში, მაგალითად, მალიცორებში არსებობს თემური არისტოკრატია, რომელსაც თავის განსაკუთრებითი წარმომადგენლები ჰყავს. ეს არისტოკრატია შესდგება უფრო ხშირად თემის წარჩინებულ გვარეულობათა შთამომავლობისაგან.

ალბანეთის თემურ ორგანიზაციის მეორე საფეხურზე სდგანან **კრიუზები**, ანუ წარმომადგენელნი თემის ნაწილებისა, რომელთა ღირსებაც აგრეთვე შთამომავლობითია. კრიუზს შეუძლიან აგრეთვე მოიხმოს კრებაზე მცხოვრებნი იმ თემის ნაწილისა, რომელსაც ის განაგებს. ამ კრებების საგანს, რასაკვირველია, შეადგენს მარტო ის საქმეები, რომელნიც მხოლოდ ამ კუთხეს შეეხებიან. კრიუზების უმთავრესი მოვალეობაა—მოწვევა და რიცხვის განსაზღვრა მოსამართლეებისა რომელიმე მომხდარ უსიამოვნების ანუ ჩხუბის გამოსარკვევად.

**გიობართა** თანამდებობას უფრო იურიდიული ხასიათი აქვს. ის მსაჯულია თავის საგვარეულოში. ამ თანამდებობაზე ყოველთვის ყველაზე გამოცდილსა და მამაც კაცს ირჩევენ. მათ დიდი გავლენა აქვთ თემის საქმეებზე და მათ დაუკითხველად ვერც ბაირახტარი და ვერც კრიუზ ვერ გადასწყვეტს ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან საკითხს.

უპირველესი ადგილი „დუკადშინის მთების კანონებში“ სტუმართმოყვარეობის მოვალეობას უჭირავს. ამ კანონების მიხედვით რომელიმე კაცის მფარველობის ქვეშ მყოფი სტუმრის ანუ მეგობრის მკვლელი უმოწყალოდ უნდა იქნას დასჯილი და სისხლ-აღებული. მას, ვისი სტუმარიც მოჰკლეს, არ შეუძლიან თავის თემში ცხოვრება, ვიდრე არ გადიხდის თავის მოვალეობას და არ მოჰკლავს თავისი კერის შემგინებელს. ბევრჯელ მომხდარა ისეთი მაგალითები, რომ არამცთუ ნათესავს მოუკლავს ნათესავი სტუმრის შეურაცყოფისათვის, არამედ ამის გულისათვის ძმას ძმა შემოჰკვდომია. ასეთია ძალა სტუმართმოყვარეობისა!

ხშირად ხდება ხოლმე, რომ რამე დანაშაულობისათვის დევნილი კაცი შეეხიზნება სხვებს, რომ ამითი თავიდან აიცილოს მოსალოდნელი ხიფათი. თუ მიუხედავად ამ მფარველობისა, ის ვინმე მოჰკლა, მაშინ მისი მასპინძლები და მოკლულის ოჯახობა მოვალენი არიან სამაგიერო გადაუხადონ მკვლელს. ამ შემთხვევაში არამცთუ სწვავენ და ანგრევენ მკვლელის სახლს, არამედ სრულიად ანადგურებენ მთელ მის სარჩო-საბადებელს. მთელ მის ყანა-მინდვრებს შარად აქცევენ, და თუ ვენახი ანუ ბაღი აქვს სულ ძირიან-ფესვიან ამოაგდებენ ვაზსაც და ხეხილსაც. ამგვარადვე დევნილნი იქნება ყველა მისი მონათესავე. უმთავრესი მკვლელის ქონება გადადის მოკლულის ოჯახში. ამ ორ გადაკიდებულ ოჯახის შერიგება შეუძლებელია მასპინძლის უდასტუროდ, რაც ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე. ჩვეულებრივ კი შეურაცყოფილი მასპინძელი ჰკლავს თავისი სტუმრის მკვლელს და იწყება გაუთავებელი და შეურიგებელი შურისძიება. უფრო სასტიკად სჯიან „მთების კანონები“ სტუმრის სიკვდილს მისი გაცილების დროს, ვინც უნდა იყოს მისი გამცილებელი მოზრდილ თუ ბავშვი, ქალი თუ მოხუცი. თუნდაც რომ მკვლელს მის მიერ მოკლული კაცის ჯავრი სჭირდეს და ეძიებდეს მისი სისხლის აღებას, ეს გარემოება სრულიად არ ათავისუფლებს მას იმ ბედისაგან, რომელიც მთიულთა ჩვეულებით უნდა მოჰყვეს სტუმართ-მოყვარეობის შებღალვას. ოჯახი, სადაც იყო გაცილების დროს მოკლული სტუმარი, გადუხდის მკვლელს სამაგიეროს ისე, როგორც თავისი საკუთარი წევრის მკვლელობისათვის.

თუ, ვინიცობაა, ერთმა რომელიმე სათემოს კაცმა მოჰკლა მეორე—თავისი მოძმე, მაშინ მთელი თემი მოვალეა დასაჯოს მკვლელი. მის სახლსა და არე-მარეს ცეცხლით გადაბუგავენ.

მთელ მის მოძრავ ქონებას, (საქონელს, ავეჯეულობას, მომკილ-დათესილს) გარდა იარაღისა, სათემო საკუთრებად გადააქცევენ. იარაღი კი, რაც შეიძლება მალე, უნდა დაუბრუნდეს მკვლელს, წინააღმდეგ შემთხვევაში კაცის იარაღის აყრისათვის თემი იხდის 2,000 პიასტრს (170 მანეთამდე).

მკვლელმა მთელი თავისი ოჯახობით უნდა დასტოვოს სათემოს მიწა-წყალი.

მან უნდა გადიხადოს ჯარიმა 2200 პიასტრი, რომელსაც მთავრობა და თემი ინაწილებენ.

ამის გარდა, მან უნდა გადიხადოს კიდევ სხვა ჯარიმა, რომელსაც თემისა და მთავრობის წარმომადგენელნი მიუსჯიან. მას და მის ოჯახობას ედება სისხლის ვალი. მოკლულის ნათესავთ არა თუ მარტო უფლება აქვთ შური იძიონ, არამედ აუცილებლად მოვალენი არიან მოჰკლან ან თვით მკვლელი ან მისი ოჯახის ერთი წევრი.

მკვლელის უძრავი ქონება ხდება მოკლულის ოჯახის საკუთრებად. შემდეგში სამედიატორო სამართლის გადაწყვეტით მკვლელის ოჯახმა შეიძლება დაიბრუნოს თვისი საკუთრება, თუ გადიხდის გადაწყვეტილ ჯარიმას და ააშენოს ხელ-ახლად სახლ-კარი, რომელიც წინადვე შეიძლება დაცულ იქნას განადგურებისაგან კიდევ ფულის შეწევნით.

ხანდახან მკვლელობა მორიგეობითაც თავდება ხოლმე. ამ შემთხვევაში მამაკაცის მკვლელობისთვის დამნაშავე იხდის 28 თუმნამდე, ხოლო ქალის მკვლელობისათვის **უთუოდ** საჭიროა სისხლის აღება. თუ ქალი უკვე გათხოვილი იყო, მაშინ მისთვის სისხლის აღების უფლება ერთი წლის განმავლობაში ეკუთვნის მის დედმამის ოჯახობას, ხოლო ამის შემდეგ კი მის ქმარსა და ნათესავებს.

თუ ქმარმა, შვილმა ანუ ძმამ ქალის ღალატის დროს მოასწრო სხვა მამაკაცთან, მაშინ მას უფლება აქვს ორივე მოჰკლას სრულიად უპასუხისმგებლოდ. მაგრამ თუ ამ დროს მოჰკლეს მარტო ერთი, ან კაცი ან ქალი, მაშინ ეს ჩვეულებრივ მკვლელობის ხასიათს იღებს.

მოსყიდული მკვლელი თავისუფალია ყველა სასჯელისაგან და პასუხისგება აწვება თავზე მარტო მომსყიდველს.

ხშირად ერთ თემს მეორესთან მშვიდობიანობის ხელშეკრულება აქვს. თუ ასეთი თემების წევრებს ერთმანეთი შემოაკვდათ, მაშინ მას თავისი თემი ისე დასჯის, როგორც სტუმართმოყვარეობის გამტეხს. თუ კი ასეთი ხელშეკრულება არ არსებობს, მაშინ დაზარალებულნი მიმართავენ მთავრობას და უკანასკნელი ჯარიმას ახდევინებს მკვლელს.

„სინიდისიერი“ სისხლის აღება, მამა-პაპათა ჩვეულებების მიხედვით არამცთუ ცოდვაა და სასირცხვილო ალბანელის თვალში, არამედ მოვალეობა და ვაჟკაცობაა.

სასტიკად სჯიან აგრეთვე დუკაშინის კანონები ქურდობას, ქალის გაუპატიურებას, სხვის საკუთრების დაზარალებას და სხვა.

ოჯახის უფროსის სიკვდილის შემდეგ მთელი მისი ქონება გადადის მის ვაჟებზე, ქალებს კი არა აქვთ მემკვიდრეობითი უფლება. თუ ვინიცობაა, მემკვიდრე არ არის ჯერ კიდევ წლოვანი ე. ი. არ გასცილებია 16 წელს, მაშინ მისი ქონების გამგედ დროებით ინიშნება დედა ან რომელიმე მახლობელი ნათესავი. თუ გარდაცვალებულს არ დარჩა მამრობითი შთამომავლობა, მაშინ ცოლს უფლება არა აქვს ქმრისგან დატოვილ ქონებაზე და მის სახლში ცხოვრებაზე, ის უნდა დაბრუნდეს თავის მამის სახლში.

არავის უფლება არა აქვს მიჰყიდოს უმოძრავი ქონება სხვა თემის კაცს.

ამგვარი იურიდიული ნორმებისაგან არის შემდგარი დუკაშინის კა-

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 917.

...ბედი სვიმონის ასული, რამიშვილი ...ნო პავლეს ასული, შავიშვილი ...რიამ ოქროპირის ასული, ცხვე...არიძე სოფიო ალექსანდრეს ასული, ...ობინაშვილი მარიამი ივანეს ასული, ...ერ-ყაზაროვი ბრაბიონე სუმბათის ასული, ჭიშკარიანი ეფროსინე ლუკას ასული.

## სასწავლებლებში

✦ **დედათა მეორე გიმნაზიის ...ერვე კლასი** წელს შემდეგმა ქართველებმა გაათავეს: ე. ვაჩნაძემ, თ. ...კუასელმა, გ. ყარალაშვილმა, თ. ...ასხიშვილმა, მ. თუმანიშვილმა, კ. ...არაძემ და ო. დუმბაძემ. **მეშვიდე ...ლასი გაათავეს**: ნ. თულაშვილმა (ოქროს მედლით), ე. თუხარელმა, ... კუხიანიძემ, მ. თუმანიშვილმა, ე. ...ახტაძემ და თ. თავდგირიძემ.

### გ ო რ ი.

✦ გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა წესდება გორის ქართველ ქალთა საზოგადოებისა: „მანდილოსანი", რომელიც მომავალ სექტემბრიდან დაიწყებს მოქმედებას.

# დ ე პ ე შ ა

(შემთხვევითი)

**მოსკოვი.** ტფილისის სათავად-აზნ. გიმნაზიის მოწაფეთა ექსკურსია მშვიდობით მივიდა მოსკოვს.

# სიღნაღის საქალაქო არჩევნების გამო

სიღნაღ-ნუკრიანის განაპირების ცხოვრებთა რწმუნებულებმა თავ. ...ანდრონიკაშვილმა და გ. დაფქვიაშვილმა ტფ. გუბერნატორს თხოვნით მიმართეს, რომ ივნისისათვის დანიშნული ქალაქის რწმუნებულთა არჩევნები გადაიდვას შემოდგომისათვის, და თუ ეს შეუძლებელია, მაშინ 20 ივლისისათვის მაინც; გარდა ამისა კრების თავმჯდომარედ ქალაქის მამასახლისის ენიკოლოფოვის მაგიერ დაინიშნოს ვინმე გარეშე პირი. პირველი თხოვნა იმით არის გამოწვეული, რომ 20 ივნისს თუ მოხდა არჩევნება ნუკრიანში, ბოდბეში და ქოტორში, მცხოვრებნი არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, როგორც მეურნესი, იგინი ამ დროს სამუშაოდ არიან წასულნი შორად 20—40 ვერსის მანძილზე. თუ ესენი მონაწილეობას ვერ მიიღებენ, მაშასადამე ორი მესამედი ქ. სიღნაღის მცხოვრებლებისა ვერ შესძლებს თავის უფლებათა განხორციელებას; თუ არჩევნები ოცი ივლისს მაინც დაინიშნება, მაშინ ასე თუ ისე მონაწილეობის მიღებას შეიძლებენ, რადგან ამ დროს მცხოვრებლები კალოებზე არიან თავიანთ ოჯახის ახლოს. მეორე თხოვნა—თავმჯდომარის გამოცვლის შესახებ იმით არის დასაბუთებული, რომ ქალაქის მამასახლისი მიკერძოებით მოქმედებდა ოთხი წლის განმავლობაში. ამ ხნის განმავლობაში ქალაქის განაპირას მდებარე ადგილებში არც წყალსადენია გაყვანილი, ქუჩები გაუნათებელი დარჩა, არც დარაჯებია და სხვა. გარდა ამისა ამომრჩევლების სიების შედგენის დროსაც მის მიერ დარღვეული იყო საარჩევნო წესები და სხვა.

# მოსკოვის სამხატვრო თეატრი

(გასტროლები ოდესაში)

II.

**„ძმანი კარამაზოვები", დოსტოევსკისა.**

ორი საღამო სამხატვრო თეატრმა უძღვნა დოსტოევსკის სასცენოდ გადაკეთებულს რომანს „ძმანი კარამაზოვები". ძნელი, სახიფათო, გაბედული ნაბიჯი გადასდგა სამხატვრო თეატრმა, როდესაც დოსტოევსკის რომანი თავის სცენას შეუფარდა. დოსტოევსკი სცენისათვის არა სწერდა, პირისპირ უნდა წაიკითხო მისი ნაწარმოები, პირდაპირ, უშუამავლოდ უნდა განიცადო ის, რასაც განიცდის თვით ავტორის დატანჯული სული. თვით სული დოსტოევსკისა, რომელიც გულს უსერავს ადამიანს,—თვით ეს სტილიც, მრავალი საიდუმლოებით აღსავსე, უცხოა სცენისათვის.

მაგრამ სამხატვრო თეატრმა გაბედული ნაბიჯი გადასდგა. მოსიყვარულე ხელი შეახო ამ სულის მესაიდუმლე, სულის მტანჯველ მწერალს და „კარამაზოვები"-ს სცენაზე გადმოტანა სცადა. მარტოოდენ ის, თუ როგორ ან რა გზით მიაღწია თეატრმა ამ მიზანს,—მარტოოდენ ესეც კი საკმარისია, რომ თეატრს ეპატიოს ის მრავალი ნაკლი, რომელიც ყველასათვის აშკარაა ამ წარმოდგენების დროს.

სამხატვრო თეატრმა მსხვერპლად შესწირა ნაწარმოებს სათეატრო ტრადიციები მით, რომ სცენაზე გამოიყვანა სპეციალური ხასიათის პირი, რომელიც წარმოდგენის მსვლელობის დროს ეპიურ ხასიათის ადგილებს კითხულობს. ამ „მკითხველის" ხმა სცენისათვის უცხოა; გეხამუშებათ ეს პირი, რადგანაც იგი კითხულობს და არ მოქმედებს—მოქმედება კი აუცილებელი საჭიროება სცენისათვის. პირველი ნაწილი მეტად ღარიბია დრამატიულის მომენტებით და ამიტომ ამ სცენისათვის გარეშე პირს უფრო ხშირად უხდება კითხვა, სცენა ცივია, უგრძნობელი ამ დროს. საჭირო იყო ერთგვარი მთლიანობა შეეტანათ იმ ნაწყვეტებში, რომელიც თეატრმა სასცენოდ გადააკეთა. სამაგიეროდ მეორე ნაწილი მდიდარია მრავალფეროვანის, ჭეშმარიტად დრამატიული მომენტებით. აქ იწყება გარემოებათა ჭეშმარიტად კატასტროფიული მსვლელობა, აქ დაეშვება ის ლოდი, რომელიც თავის სრბოლაში თან წამოიღებს უზარმაზარ მთას, თავს დაეცემა კარამაზოვებს და ქვეშ მოიტანს. დოსტოევსკის ფანტაზიამ აქ არ იცის საზღვარი, მისი დრამატიული ტემპერამენტი უხვად ათბობს მეორე ნაწილს. აქ უკვე ორჯერ გამოდის სცენაზე ის მესამე „მკითხველი" პირი—„მოკროე"-ში ქეიფის დროს და სასამართლოში.

მიტია კარამაზოვის ქეიფი „მოკროე"-ში, მისი შეპყრობა, უკანასკნელი შეხვედრა ივანე კარამაზოვისა. დასმერდიაკოვისა, ივანე კარამაზოვის გალუცინაციები, სცენა სასამართლოში—აი, სცენები, სადაც ფართო ასპარეზი ეშლება რეჟისორისა და მსახიობის ტემპერამენტს. და მართლაც, თქვენ გრძნობთ, რომ პირველ ნაწილში გახლართული კვანძი აქ უნდა გაიხსნას, კვანძისა გახსნას კი აუცილებლად კარამაზოვთა დაღუპვა მოჰყვება. თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ იმ სულიერ დრამას, რომელსაც კარამაზოვები განიცდიან, უსიკვდილოთ მსხვერპლად შეეწირებიან იგინი. სხვა გზა არ არის. ასეთია საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ერთნაირის ხელოვნებით ჰქმნიან სამხატვრო თეატრის მსახიობნი, მიუხედავად იმისა, რომ მათ მიერ გაპიროვნებული გმირები სულ სხვა და სხვა ღირებულებას წარმოადგენენ.

აი, თეოდორე კარამაზოვი—ბ-ნი ლუჟსკი. რა ჰარმონიაა მის გარეგნობასა და ზნეობრივ შინაარსის შორის! დაწვრილმანებული-დაცემული, დორბლიანი მსუნაგი, ეჭვიანი, განცხრომის მოყვარე, გათახსირებული, ზნე-დაცემული არშიყი, მშიშარა და მლიქვნელი. მსახიობის მიერ არჩეული გრიმი, მისი ხმის უწვრილმანესი ბგერა, იშვიათი, მაგრამ ამავე დროს ყოველის მხრივ სრული მიმოხვრა და ჟესტი და მთელი ჰამა სახის გამომეტყველებისა—გმირის გონიერი და ნიჭიერი განხორციელება ამაზე შორს ველარ წავა. ყველაფერი თქვენს ყურადღებას იპყრობს, ყოველი წვრილმანი ისეთი მნიშვნელოვანია, რომ მისი უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია.

ივანე კარამაზოვს ბ-ნი კაჩალოვი ასრულებს. პირველ საღამოს მარტოოდენ მცირე რეპლიკები ხვდა მას წილად. მაგრამ მისი პირველი გამოსვლავე, მისი გარეგნობა საკმარისი იყო, რომ სრულიად გულქვა ადამიანის გულიც კი აეტოკებინოს. ივანე კარამაზოვის—კაჩალოვის გარეგნობა, მისი სახის გამომეტყველება აშკარად ჰმოწმობს მისი პატრონის ზნეობრივ სიძლიერეს, განუწყვეტელს, ვულკანისებრ დაუცხრომელს სულიერ განცდას. ივანე კარამაზოვს-კაჩალოვს ეზიზღება გარემო,—არა, იგი თითქოს დასცინის მას, მაგრამ ამავე დროს სხვათა შეუმჩნევლად იტანჯება იმის გამო, რაც კი მის გარეშემო ხდება. კაჩალოვის მიერ შექმნილი ტიპი გხიბლავსთ და ამავე დროს ღრმა, შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე.

სცენას და საზოგადოთ ხელოვნებას მრავალი უბრალო ხელოსანი, საშუალო ღირსების ხელოვანი და ჭეშმარიტად ზეგარდმო ნიჭით ცხებული მხატვარიც ემსახურება. კაჩალოვი უკანასკნელთა რიცხვს უნდა შევუერთოთ. იგი თავისი გმირის გარეგან გამოხატვასთან ერთად თვით გულსაც გიმღერსთ—აჰა, ისმინეთ გულის სიღრმიდან ამოხდილი ჰანგებიო. მინაზებული, დაბალი ხმით ლაპარაკი, მართებული ტონი, გულწრფელი, გულის სიღრმიდან ამოხდილი პათოსი,—დაურთეთ ყოველივე ამას დარბაისლური, უცნაური სევდის ბურუსით მოცული ყაიდა თამაშისა, და თქვენ უკვე შესძლებთ ასე თუ ისე წარმოიდგინოთ ეს მსახიობი. სცენა, სადაც იგი გალუცინაციებითაა შეპყრობილი, სცენა სასამართლოში—შეუდარებელის ხელოვნებით გადმოგვცა მსახიობმა და აღმოუფხვრელი, ძნელად დასავიწყებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

სნეგირიოვი—ბ-ნი მოსკვინი. ღმერთო ჩემო! სად ნახა, სად შეამჩნია მოსკვინმა ყველა ის დამახასიათებელი თვისება, რომლითაც იგი სნეგირიოვს აჯილდოვებს?! სად შენიშნა ის წვრილმანი მოძრაობა, სახის გამომეტყველება, განსაკუთრებული, სნეგირიოვისთანა ადამიანთა დამახასიათებელი სამხედრო სალამის ყაიდა—ხელის გული აბრუნებული, განზე გადმოწეული, სალოკ თითს ჩამოშორებული ცერი! ყური სად მოჰკრა მსახიობმა ხმის კილო-კავს, ხითხითს?! სნეგირიოვში ადამიანი დასამარებულია, იგი შეურაცხოფით დასერილია, მისი კაცური კაცობა გაქრელილია სიღარიბისა და დამცირების მეოხებით. თქვენ გრძნობთ, რომ სნეგირიოვი დაწყვეტილ-დაავადებული ნერვების გორგალია მეტი არაფერი. ხან გულამოჯდებით შეჰყვირებს, ხან მასხარასავით გაიმანჭება, ხან კი, როდესაც გაიღვიძებს მასში დაწიხლული, შეგინებული ადამიანური ღირსება, იგი ქანც მილეული გმინავს. სულის შემზარავია ის სურათი სნეგირიოვისა, რომელსაც მოსკვინი გაჩვენებთ.

სმერდიაკოვს ბ-ნი ვორონოვი ანხორციელებს. დეგენერატის გარეგნობა, გაჯიუტებული პოზა, უგუნური, უაზრო თვალები, გახრწნილი, ზიზღის მომგვრელი ხმა, კრეტინის დაფარული-მიბნედილი ღიმილი—აი, ბ-ნ ვორონოვის მიერ შექმნილი სმერდიაკოვი. თქვენ აშკარად ხედავთ, რომ სმერდიაკოვი მისი მეტოდიური ლაპარაკით თეოდორე კარამაზოვის მემკვიდრეა—ისეთის ნიჭით და ხელოვნებით ასრულებს ბ-ნი ვორონოვი სმერდიაკოვის როლს.

მე მგონია, რომ ალიოშა, რომელიც გოტოვცევმა დაგვიხატა, უფრო ხალხის შვილია, მწირად განდგომილი,—არა, უბრალო, სადა მორჩილს უფრო წარმოადგენს ბ-ნ გოტოვცევის ალიოშა. სად არის ის სიფაქიზე, სათნოება და ალერსი, რომლითაც ახასიათებს დოსტოევსკი ალიოშას და რომელთა ზედგავლენით მედიდური და გაქვავებულ გულის პატრონნიც კი ქედს იხრიან ალიოშას წინაშე? ის გარეგნობა, ის კილო, რომელიც აირჩია ბ-ნმა გოტოვცევმა ალიოშას დახასიათებაში, ვერ დაიმორჩილებს მოხუც კარამაზოვს ან აღტყინებულ გრუშენკას.

სამწუხაროდ, არც გრუშენკამ ჰპოვა, ჩემის აზრით, ღირსეული აღმსრულებელი—ქ-ნი გერმანოვა. იყო მომენტები, როდესაც აქა-იქ აკვესებდა იგი გულიდან ამოღებულ სითბოს, მაგრამ გრუშენკა—ისეთი, როგორიც იგი დოსტოევსკიმ დაგვიხატა თავის რომანში,—გულ-გახსნილი, გრძნობის ალით დამწვარი-დაბუგული, მოსიყვარულე, მაცდური და სასოწარკვეთილი გრუშენკა—არა სჩანდა სცენაზე. ქ-ნმა გერმანოვამ ვერ შესძლო, ვერ ისარგებლა იმ მასალით, რომელიც უხვად არის გაბნეული რომანში, თვისი გმირის გაპიროვნებისათვის.

ამ ორ საღამოს სამხატვრო თეატრს დიდი ზიანი მიაყენა საზოგადოთ მსახიობ ქალთა შეუფერებელმა თამაშმა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქ-ნ კორენიოვას, რომელმაც ღირსეულის სინამდვილით, ენერგიულის ტემპით ალლო აული დოსტოევსკის მიერ აწერილ ლიზას.

რამდენიმე სიტყვა მინდა ვუძღვნა ბ-ნ ლეონიდოვს, რომელიც მიტია კარამაზოვის როლს ასრულებს. პროვინციაში კარგად ცნობილი მსახიობი სამხატვრო თეატრმა იგი სიხარულით მიიღო თავის წრეში. არჩევანი ღირსეული გამოდგა. მართალია, პირველ ხანად ლეონიდოვი თითქმის დაჩრდილა სამხატვრო თეატრმა—ჯერ კიდევ მჭიდროდ ჰქონდა გადგმული ფესვი პროვინციალურს ყაიდას თამაშისას მასში, ძნელი იყო უეცრივ გაეზიარებინა მას სამხატვრო თეატრის ტრადიციები. მაგრამ მიტია კარამაზოვის აღსრულებამ ეს დაუცხრომელი ტემპერამენტის პატრონი და ნიჭიერი მსახიობი ერთბაშად წინ წამოსწია. რატომ მოხდა ეს? რით აჯილდოვებს ლეონიდოვი მიტია კარამაზოვს?

მოქეიფე, გარყვნილების მორევში მოლივლივე, გახრწნილი, განცხრომის შვილი, ზნედაცემული მიტია კარამაზოვი მართლაც ღირსეულს აღმსრულებელს ჰპოვებს ბ-ნ ლეონიდოვში. უთავბოლო, დაუდევარი მიტია დიდ ყურადღებას არ აქცევს ტანისამოსს, და მართლაც თქვენ ხედავთ, რა გვარია ის სურთუკი, რომელიც ლეონიდოვს აცვია—დაჭმუჭნული, ზოლგავლებული, აქა-იქ გამტვერიანებულიცა. ასე იცის იმ წრემ და იმ დროის გატარებამ, რომელსაც მიტია კარამაზოვი მისდევს. მაგრამ ამ არამზადას, ამ გახრწნილი ადამიანის გულშიც ღვივის ღვთიური ნაპერწკალი, დადგება ხოლმე ისეთი წუთები, როდესაც იგი ფუქსავატ ცხოვრებას გამორკვეული, თითქოს ინანიებს თავის ცოდვებს. გულწრფელია ეს სინანული, იგი იგლოვს, ჰგოდებს თავის ზნედაცემულებას, წყევა-კრულვით იხსენიებს დაკარგულ დროს. მაგრამ... ისევ იღვიძებს მასში განცხრომის მწვავე სურვილი რომელიც ღრღნის კარამაზოვთა მთელ გვარს, და ისევ იწყება თავიდან ძველი, ძველი ამბავი. ამ ორპოფობას ფსიხიკისას, ამ ორი მოპირდაპირე აზროვნების შეხლას, ზნედაცემულობის გამარჯვებას ბ-ნი ლეონიდოვი განსაკუთრებულის ხელოვნებით გადმოგვცემს. „მოკროე"-ში ქეიფის დროსაც კი, როდესაც იგი თითქოს გარეშემოხვეულმა მასსიურმა სცენამ უნდა შთანთქას, ლეონიდოვი მაინც განსაკუთრებულს პოზიციას იკავებს. მისი ხრინწმორეული, დარდიმანდობის გამომხატველი ხმა, მისი თვალის იერი—ყველა ეს სთიშავს ლეონიდოვს ამ მასსას. თქმა არ უნდა, ამ როლის ამრიგად აღმასრულებელი უსათუოდ განსაკუთრებულ ყურადღებას მიიპყრობდა. ეს ასეც მოხდა.

საერთოდ პიესა მეტად მძიმე, აღმოუფხვრელ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. თავზარდაცემული გამოდიხარ თეატრიდან და კარგა ხანს გონს ვერ მოსულხარ. დარწმუნებული ხარ, რომ ძალა უნებურად მოწმე გახდი ნამდვილის ტრაღედიისა, ადამიანის დაცემისა და გათახსირებისა. და ამ შთაბეჭდილებას აორკეცებს ის საერთო ხასიათი სცენის მოწყობილებისა, რომელიც სამხატვრო თეატრმა შეურჩია „ძმათა კარამაზოვების" სცენისათვის გადაკეთებას. თქვენ არა ჰხედავთ რეალურს ოთახს ყველა თვისი მოწყობილებით, როგორც ეს სჩვევია სამხატვრო თეატრსა, არა! დეკორაციების ნაცვლად სადა, ერთფეროვანს ტილოს. ავეჯის მაგიერ თქვენ მხოლოდ მარტოდენ მის ჩანასახს ხედავთ—აგერ აქ სკამის მოვარაყებული კუთხე მოსჩანს, აგერ იქ—თითქოს ქუჩის ქიმი და იქ დადგმული ფარანი მოსჩანს. ერთი ორი, ამ წრის დამახასიათებელი ნაკვთით სამხატვრო თეატრი სრულს ილუზიას აღწევს. სადა, სცენიური პრიმიტივია აქ გამეფებული,—მაგრამ ამ პრიმიტივშიც სჭვივის სამხატვრო თეატრის გემოვნება და ალღო. არ არის ის რეალიზმი, რომელიც სჭარბობს სხვა წარმოდგენების ტონში. ერთხელ, მარტოდენ ერთხელ ჰღალატობს, მე მგონია, თეატრი ამ რჩეულ გზას — სახელდობრ „მოკროეში" ქეიფის დროს, როდესაც სცენაზე ნამდვილი რუსის გოგოები რუსულ ტანისამოსში გამოწყობილნი ნამდვილს რუსულ სიმღერებს მღერიან—ეს სცენა სრულს ილუზიას ჰქმნის! მგონია, ნატურალიზმი ამაზე შორს ველარ წავა!... სიცოცხლით სავსეა სცენა სასამართლოში, სადაც მონაწილეობას იღებს მასსა. დისციპლინა, განსაკუთრებული დისციპლინა აერთებს ამ მასსას, რომელიც სცენაზე დეკორაციას კი არ წარმოადგენს, არამედ ყოველის წვრილმანს ყურადღებას აქცევს, მოქმედებს და მონაწილეობას იღებს ყოველივე იმაში, რაც კი სცენაზე ხდება. ამ მასსამ შიშიც იცის და სიცილიც, იგი გაბედულიცაა და დრკება კიდეც—ეს ხომ ჩვენს ნამდვილ ცხოვრებაშიც ასეა!? სამხატვრო თეატრმაც ამ ცხოვრებას მიაქცია თავისი ყურადღება.

**პ. დადვაძე.**

(შემდეგი იქნება)

# მუშათა ცხოვრება

✦ ბერლინის გარეუბნის ბენებერგის სტატისტიკური ბიუროს დირექტორმა გამოაქვეყნა საყურადღებო ცნობები შრომის ფასის განვითარების შესახებ. ამ ცნობებით 1870 წლიდან 1910 წლამდის მუშის ქირამ იმატა 50—100 და მეტის პროცენტით. 1870 კ. მაგალითად კალატოზის უმცირესი ქირა ნიურენბერგში კვირაში შეადგენდა 10 მარკას და 20 ფენინგს (მარკა უდრის 46 კაპეიკს, 100 ფენინგი ერთი მარკაა), 1903 წ. იყო 18 მარკა, ხოლო უდიდესმა (მაქსიმალურმა) ქირამ იმატა 14 ნახევ. 36 მარკამდე და საშუალომ 13-დან 25 მარკამდე. ლონდონში 1870 წ. კალატოზი იღებდა 6 ნახ. მარკას, მანჩესტერში 7—ს. აქ კალატოზის ხელფასს აგრე რიგად არ მოუმატნია. ასეა ამერიკაშიც: სან-ფრანცისკოში კალატოზი იღებდა კვირაში 21 მარკას, 1890 წ.—24 ნახ., 1898 წ. ისევ 21—26 მარკას. უმცირესი ყოველკვირეული შემოსავალი დურგლისა ბერლინში იყო 1896 წელს 16 ნახ. მარკა, 1909 წ. კი 40 მარკა, დრეზდენში 1900 წ. იყო 26,33 მარკა, 1910 წ. 35 მარკა.

✦ საერთაშორისო კოოპერატიული მოძრაობის ყოველწლიური უკანასკნელი ანგარიში აღნიშნავს კოოპერატივების საოცარ განვითარებას უმთავრეს სახელმწიფოებში. საერთო რიცხვი კოოპერაციებისა ევროპის 18 სახელმწიფოში 1910 იყო 120238 და მათი წევრების რიცხვი 19.253.700. ყველაზე უფრო კოოპერატიულია დანია, სადაც 614.200 კაცია კოოპერაციებში, ე. ი. ყოველ 4 მცხოვრებიდან ერთი კოოპერატიის წევრია. შვეიცარიაში ათ მცხოვრებიდან ერთია კოოპერაციის წევრი, ავსტრიაში 12-დან, გერმანიაში—13-დან, ბელგიას, ინგლისსა და ჰოლონდიაში 16-დან ერთია კოოპერაციის წევრი. რუსეთში კი 35 მცხოვრებში მხოლოდ ერთია კოოპერაციის წევრი. ყველაზე უფრო ჩამორჩენილია კოოპერაციების მხრით საფრანგეთი (49 მცხოვრებში ერთია კოოპერატორი), სერბია (44), ბოლგარია (80) და ისპანია (244). კოოპერაციებში პირველი ადგილი უკავიათ ინგლისის მომხმარებელ ამხანაგობათ, დანიის და იტალიის სასოფლო-სამეურნეო და ავსტრიის და გერმანიის საკრედიტო საზოგადოებებს.

✦ პეტერბურგში გაიფიცნენ ურლოვის საქსოვ ფაბრიკის მუშები. მიზეზი გაფიცვისა ისაა, რომ მუშებს არ აძლევენ იმ დღის ქირას, როცა მანქანა გაფუჭდა და მუშებს არ შეეძლოთ მუშაობა.

✦ გაიფიცნენ კერსტენის წინდების ქარხნის მუშა ქალები, მოითხოვეს ქირის მომატება.

✦ რეზვო-ოსტროვსკის მანუფაქტურის მუშების მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილეს. მუშებმა გადასწყვიტეს გაფიცვის გაგრძელება.

✦ ოზოლინგის თუჯის სადნობ და მექანიკურ ქარხნის მუშებმა დაადგინეს ანგარიში ჩაიბარონ და გაფიცვა განაგრძონ სრულ დაკმაყოფილებამდე.

✦ პეტერბურგში ბეკერის საფორტეპიანო ფაბრიკაში აირჩიეს წარმომადგენლები საავადმყოფო კასის წესდების განსახილველად. არჩეულ იქმნენ მუშათა კანდიდატები.

**სად. ჩაქვის საუფლისწულო მამულები.** ვის არ გაუგონია ჩაქვი თავის მდიდარი ტურფა ბუნებით: ლამაზი, მომხიბლავი ტროპიული მცენარეებით და უსაზღვრო შავი ზღვით.

აქ არსებობს საუფლისწულო მამულები, ჩაის პლანტაციებით, სადაც ზაფხულობით ორიდან სამი ათასამდე ქალი და კაცი მუშაობს (50% ქართველია). ზოგი ნედლ ჩაისა ჰკრებს, ზოგი თოხნის, ზოგიც ფაბრიკაში მუშაობს. დღიურ ხელფასად მოზარდებს აქვთ 30 კ.—50 კ. ქალებს—60 კ. კაცებს—70 კ.—1 მანეთამდე. მუშაობენ დილის 5 საათიდან საღამოს 6 საათ., სადილად 1 ნახ. საათის დასვენებით. ასე რომ, სამუშაო დროს მინიმუმი დღეში 11 ნახ. საათია. წარმოიდგინეთ ბავშვები 7—12 წლისა ქალიშვილები და მოხუცებულები პაპანაქება სიცხეში 11 ნახ. საათს. მუშაობენ ასეთი მცირე ხელფასით. მუშებისათვის არსებობს სადგომი სახლები, ყაზარმებად წოდებული. სიგრძით 12 არ. და სიგანით 8 არშ., რომლებშიაც ას-ასზე მეტი კაცი ათევს ღამეს. საწოლები შემდეგ ნაირად არის მოწყობილი: ირგვლივ ტახტები, ზევით კედლებზედაც ფიცრის ტახტები, სხვა ავეჯს ვერ იპოვნით. ზოგი ტახტებ ქვეშაც წევს უადგილობისა გამო.

დიახ, ისეთ პირობებში არიან აქაური მუშები, მაგრამ თავს მაინც არ იტკიებენ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამას წინად სამმა მუშა-ქალმა დასწერა თხოვნა მოაწერინა 100-მდე მუშას ხელი და გაგზავნა სადაც ჯერ არს, პეტერბურგს; მაგრამ მუშებმა საცინლად აიგდეს ინიციატორები. ზოგიერთები ემუქრებოდნენ კიდეც მათ და აკი აასრულეს თავისი მუქარა: არ გაუვლია დიდ ხანს, რომ მხოლოდ ორ პარტიას მოუმატეს ორ-ორი შაური დღეში. ამის გამო დანარჩენი მუშები წავიდნენ აქაურ გამგესთან საქმის გამოსარკვევად. მუშების ასეთმა საქციელმა ძლიერ გააბრაზა გამგის თანაშემწე და მოსთხოვა მათ მეთაური, წინააღმდეგ შემთხვევაში დათხოვნით დაემუქრა ყველას. მუშებმაც არ დააყოვნეს და იმ წამსვე გასცეს მოთავენი, რომელნიც დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქნენ. საერთო დახასიათება აქაური მუშისა შემდეგია: მამაკაცებში ვერც ერთს მუშას ვერ ნახავთ ქართულ ჟურნალ-გაზეთების მკითხველს. მათი ჟურნალ-გაზეთი და სამკითხველო ჩაქვის სამიკიტნო, ყავახანა, წითელი ნუნუა და პილატეს ცრემლია. ახალგაზდები აიღებენ თუ არა ფულს, გარბიან მახლობელ ტყეში, სადაც გამართულია გახურებული თამაში „ზარისა". კიდევ ბევრს ვიტყოდით მაგრამ წერილი ისედაც გამიგრძელდა. ზოგიც შემდეგისთვის იყოს.

**ცქვლიფი.**

# უცხოეთი

**ავსტრალიის ცხოვრება.**

როდესაც ავსტრალიის შესახებ ჩამოვარდება ლაპარაკი მოსაუბრეთა უმეტესობას წარმოუდგება შორეული ქვეყანა, რომლის მდებარეობაც შეიძლება ბევრმა არც კი იცის. უექველია მათი ფანტაზია ამ ქვეყანაში წარმოიდგენს მარტოოდენ

...თობძღოლობა, რომელიც დაუწერელად, გარდმოცემით მტკიცედაა შენახული ხალხში.

აგრეთვე მარტივი და უბრალოა ალბანელ მთიულების ცხოვრება, რომელიც აშკარად გვიჩვენებს თუ რა გავლენა შეუძლია იქონიოს ბუნებას ერის ისტორიულ განვითარებაზე. ძველ ისტორიულ ხანებში, როდესაც ერთა გადასახლებამ და რომის და ბიზანტიის ცვალებადმა გავლენამ სულ ერთიანად შესცვალა პირველყოფილი ეთნოგრაფიული სახე ბალკანეთის ნახევარ კუნძულისა, მთიანი და მიუვალმა ადგილებმა სრულიად უმწიკვლოდ დაიცვა ბალკანეთის ეროვნება მის ჩრდილოეთ ნაწილში, ამიტომ ამ ნაწილის მცხოვრებნი, რომელთაც საერთო სახელად **გეგები** ჰქვია. შესამჩნევლად განირჩევიან სამხრეთის ნახევარ ნაწილში მცხოვრებ მოძმე **ტოსკებისაგან.** აქ უცხო ენებს ზნე-ჩვეულებებს და სარწმუნოებას ასე თუ ისე ჰქონდა თვისი გავლენა

ამგვარად, ალბანეთის მთიულეთი ალბანეთის თავისუფლების ბუდეთ შეიქმნა, სადაც ოსმალეთის ჯარი მხოლოდ კი შედიოდა, მაგრამ თავის დღეში იქ ფეხი არ მოუკიდებია. ჩრდილოელი ალბანელი თვისი მკაცრი ხასიათით, თავისუფლების სიყვარულით და სტუმართ-მოყვარეობით, ნამდვილი ალბანელის ტიპია. საერთო პოლიტიკური აზრები ალბანელებს არა აქვთ საზოგადოდ, გარდა მცირე, განათლებულ ალბანელ ემიგრანტების წრისა, რომელსაც ევროპის ყველა სახელმწიფოებში და ამერიკაში კომიტეტები აქვთ დაარსებული და მუშაობენ თავის სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

ჩვეულებრივი ალბანელი მარტო თავისი თემის ინტერესებით სცხოვრობს. ის მას ეკუთვნის სისხლით და ხორცით და სიცოცხლეც ფუჭია მისთვის თემს გარეშე. მუდმივ ბრძოლას შეჩვეული ის განუშორებელია თავის იარაღისაგან, რომლითაც იცავს თავის თავისუფლებას.

უკვე 1844 წელს ოსმალეთის მთავრობამ სცადა ჯარის-კაცთა მოკრეფა ალბანეთში, მაგრამ ამ განზრახვამ საშინელი აჯანყება გამოიწვია და მას შემდეგ მარტო ბარი ალბანეთის ნაწილი იხდიდა სამხედრო ბეგარას და მთების დამორჩილება ოსმალეთმა ვერ შესძლო. შემდეგში, აბდულ-ჰამიდის მეფობის დროს, დიდის მოკრძალებით და პატივით ეპყრობოდნენ ჩრდილოეთის თემებს, მხოლოდ ამ სულთანმა მათ მიერ დასახლებულ ადგილებს ბლოკჰაუზების რკალი შემოარტყა, რადგანაც ეშინოდა სხვა სახელმწიფოების პოლიტიკური პროპაგანდის შეპარვისა. ამ გარემოებით აიხსნება ის მოვლენა, რომ ალბანეთის შიგნითა ნაწილი ჯერ კიდევ გამოურკვეველი და გეოგრაფიულად შეუსწავლელია. საზოგადოთ კი ეს მხარე მთაგორიანი უნაყოფო და მიუდგომელია. ამიტომაც თურქებთან ბრძოლაში იშვიათად გამოუყვანიათ მალისორებს (მთიულებს) 700—800 კაცზე მეტი. აქ შეუძლებელია დიდი ჯარის მოქმედება, რადგანაც არც გზებია და არც ადგილის უნაკლო ქარტები. ინგლისური ანდაზა „ჩემი სახლი ციხეა ჩემი" ო არსად არ არის ევროპაში ისე გამართლებული, როგორც ალბანეთში. ყველა მთიულის სახლი მართლაც ნამდვილი ციხეა თავისი კოშკით, სათოფურებით და იარაღით, რომლითაც ის თავს იცავს საჭიროების დროს გულის უკანასკნელ ცემამდი. **ი. ტ.**

(დასასრული იქნება)

დაბურულ ტყეებს, გრეხილი მცენარეებით დახლართულ ხეებს, რომელთა შიგან ბუდობს აუარებელი უცხო ფრინველი, ტყეში საშიში ნადირები, ხეებზე დახტიან უზარმაზარი მაიმუნები, რომელთა ერთი ხელის მოქნევა საკმარისია, რომ თოფის ლულა მტვრად აქციოს. უეჭველია აგრეთვე, რომ ბევრის წარმოდგენაში ავსტრალიელებიც ისეთივე ველური ხალხია, როგორც ერთ-დროს ასწერდნენ ხოლმე სახელმძღვანელოებში ან რომანებში. ევროპიელებიც დიდხანს უცქერდნენ ავსტრალიას იმგვარად, სანამ ინგლისმა ახალშენად არ გაიხადა „ახალი ზელანდია“ და ავსტრალიის დიდი ნაწილი, რომელთაც მიანიჭა ავტონომიური მმართველობა. ავსტრალიაში მცხოვრებმა ერებმაც ძლიერი ნაბიჯი წასდგეს წინ კულტურის მხრით. მათი მოქალაქობრივობა და საზოგადო ცხოვრება იმდენად მაღლა სდგას, რომ ევროპის ბევრ სახელმწიფოს სამაგალითოდ მიაჩნია. ავსტრალიის საზოგადოებრივმა ცხოვრებამ კარგა ხანია ევროპის ყურადღება მიიქცია. ჯერ კიდევ თხუთმეტის წლის წინად ფრანგი მკვლევარნი ეწვივნენ ავსტრალიის ნორჩ ფედერაციას და ევროპას უამბეს თუ რა ხდებოდა იქ.

1910 წლის არჩევნების შემდეგ, ავსტრალიის ფედერაციის სათავეში მუშათა სამინისტრო ჩადგა; პრემიერ-მინისტრად შოტლანდიის მაღაროების ყოფილი მუშა იყო. სწორედ ამ დროს სენატში მუშებმა უმეტესობა შეიძინეს. მუშებსა ჰქონდათ ქვედა პალატაში 42 ადგილი და სენატში კი—23. ძველმა კოალიციონურმა პარტიამ ქვედა პალატაში შეინარჩუნა 31 ადგილი სენატში კი—13. როდესაც ფედერაცია დაარსდა, 1901 წელს შემუშავებულ ორგანიული სტატუტით, მუშათა კანონმდებლობა ცალ-ცალკე შტატების ხელში იყო და არა ფედერატიულ პარლამენტისა. ახალმა პრემიერმა ფიშერმა რეფორმათა მთელი რიგი შეიმუშავა, ხოლო ამ რეფორმების განსახორციელებლად საჭირო იყო კონსტიტუციის შეცვლა. 1911 წ. მაისში ახალმა მთავრობამ შემდეგი შეცვლილი კონსტიტუციის რეფერენდუმი მოახდინა მთელ ავსტრალიის მცხოვრებთა შორის: 1) რესპუბლიკას უფლება აქვს გამოსცეს კანონები შესახებ ვაჭრობა-მრეწველობისა; 2) ფედერატიული პარლამენტი სრულ კანტროლს უწევს ყველა სამრეწველო კორპორაციას და საჭიროების მიხედვით ყველა შტატში სამუშაო ხელფასის მინიმუმს უწესებს; 3) ფედერატიულ პარლამენტს ეძლევა უფლება ყველა სინდიკატსა და მონოპოლიას ებრძოლოს; მასვე ეკუთვნის უფლება, თუ ნახა რომელიმე წარმოების მონოპოლია, შეისყიდოს იგი სამართლიან ფასად. რეფერენდუმში მონაწილეთა რიცხვი ექვს შტატში 1,550,000 კაცს უდრიდა. 225 ათასი ხმის უმეტესობამ კონსტატუციის შეცვლის წინააღმდეგ მისცა ხმა, და ამ რიგად ფიშერის მუშათა სამინისტრომ ვერ განახორციელა მის მიერ შემუშავებული ფართო რეფორმები. მან განახორციელა მხოლოდ ის, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა ძველი კონსტიტუციის ფარგლებში: შემოიღო ახალი სადგილ-მამულო გადასახადი, რომლის მიზანია დიდი მიწადმფლობელობის მოსპობა, მოაწესრიგა შტატებს შორის ფინანსიური დამოკიდებულობა და სხვა.

კოალიციის პარტია ყველას იმით აშინებდა, რომ „სოციალისტები“ იმპერიასთან კავშირს შესწყვეტენო. ხოლო მუშათა სამინისტრომ არამც თუ ასეთი რამ ჩაიდინა არამედ, პირიქით, იაპონიისა და გერმანიის მიერ ფედერაციის ტერიტორიის მითვისების თავიდან ასაცილებლად შეიმუშავა საყოველთაო სამხედრო სამსახურის ისეთი კანონები, როგორც მაგ., შვეიცარიაში. ამგვარად ფედერაციამ დაამტკიცა, რომ ფართო თვითმმართველობა ხელს უწყობს იმპერიის სხვა და სხვა კუთხის მჭიდრო შეკავშირებას. სოციალურ რეფორმებისა და კანონების გარდა, რომელთა მიზანი იყო სახელმწიფოს დაცვა, მუშათა სამინისტრომ მიიღო მთელი რიგი კანონებისა, რომელნიც საყოველთაოდ იქნა მოწონებული: მაგალითად ჩრდილო ავსტრიელის დასახლების კანონი, ავსტრალიის შუაგულ რკინის გზების გაყვანა და სხვა. ახლახან გათავდა ავსტრალიაში არჩევნები. სენატში მუშებს ისევ უმრავლესობა დარჩათ; მხოლოდ სადგილ-მამულო რეფორმების გამო საშუალო მემამულენი კოალიციის პარტიას მიემხრნენ და და პარლამენტში მოიპოვეს ერთი ხმის უმეტესობა. მუშათა პარტიამ დაჰკარგა 13 ადგილი და მოიპოვა 6. რასაკვირველია ახალ კაბინეთი სხვა იქნება, მაგრამ ამ გვარ მდგომარეობა დიდხანს ვერ გასტანს. ეს ამინისტრო თავის დღეში ვერ განახორციელებს მუშების საწინააღდეგო კანონებს, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში უმეტესობა მისი მომხრეა, რადგან სენატში მუშებს უმრავლესობა ჰყავთ.

# რუსეთი

**სიმართლე ოზოლის შესახებ.**

როგორც გაზ. „დენ“-ი გადმოგვცემს, ის ცნობა, ვითომც დეპ. ოზოლი პროვოკატორობდაო—სიმართლეს მოკლებული ყოფილა. ლატიშელ მუშების გაზეთს ამის შესახებ წერილი გაუგზავნია პეტერბურგს. თურმე ეს საშინელი ბრალდება გაზ. „რუსსკოე სლოვოს“ კორესპონდენტის გაუგებრობის შედეგი ყოფილა. კორესპონდენტს არ სცოდნია ენა და ვერ გაუგია რაში ყოფილა საქმე. არც ერთ ლატიშელ პროგრესიულ გაზეთს არ დაუბეჭდია—ოზოლი პროვოკატორიაო. ასეთი ცნობა ლატიშელების მემარჯვენეთა გაზ. „ს. ფ.“ დაბეჭდა. როგორც ახლა გამორკვეულა, ამ გაზეთს არავითარი ასეთი ბრალდების დამამტკიცებელი საბუთი არა ჰქონია. ოზოლი ახლა ამერიკაში იმყოფება და ლატიშელ ს.-დ. ბელადობს, აგრეთვე რედაქტორობს გაზ. „სტვად უეეკს“.

**შეცდომის შენანება.**

საფოსტო-სატელეგრაფო უწყების ხარჯთ-აღრიცხვის დროს კადეტთა პარტიამ წინადადება მისცა ს.-დ. ფრაქციას მხარი დაუჭირონ მათ პროექტს, რომლის ძალითაც უნდა შემოეღოთ 7 საათის სამუშაო დღე ფოსტა-ტელეგრაფის ყველა დაწესებულებებში და უნდა უარყოფილიყო უწყების გამგის ბ. სევასტიანოვის ცირკულიარი, რომლის ძალით უწყებაში მოსამსახურე ქალთ არა აქვთ უფლება ვისმე მისთხოვდნენ გარდა უწყების მოხელეთა. ს.-დ. არ მიიღეს ეს წინადადება და კენჭის ყრის დროს თავი შეიკავეს. ამის გამო კადეტებმა ვერ გაიყვანეს თავისი პროექტი, რადგანაც მხოლოდ 13 ხმა დააკლდათ.

ახლა როგორც „დენ“-ი გადმოგვცემს, ს.-დ. ფრაქციას თავის უკანასკნელ სხდომაზე განუხილავს 22 მაისის მოქმედება და შემცდარად უღიარებია იგი, თან დაუდგენია, ეს აღიარება აცნობოს ამომრჩეველთ.

**კერენსკი—რაჩკოვსკის დუელი.**

კერენსკი—რაჩკოვსკის ინციდენტი არ დასრულებულა. შრომის ჯგუფმა განაცხადა, რომ კერენსკიმ გამოსთქვა მთელი ჯგუფის აზრი და ამიტომ მარტო კერენსკი ვერ აგებს პასუხსო; მან წინადადება მისცა კოლოს, ინცინდენტის გამორკვევა სამედიატორო სასამართლოს მიენდოსო. კოლო არ სთანხმდება ამ წინადადებას. შრომის ჯგუფი კი წინააღმდეგია კერენსკის დუელში გასვლისა. როგორც გამორკვეულა, რაჩკოვსკი არ ყოფილა კოლოს წევრი, მხოლოდ ტომით არის პოლონელი, და არც პოლონელებისაგან არის არჩეული.

**პოლონელთა კოლო და როდიჩევი.**

პოლონელთა კოლოს გადაუწყვეტია, უეჭველად უპასუხოს დეპ. როდიჩევს, რომელმაც უსაყვედურა კოლოს: თქვენ თავისუფლების ძებნაში, სხვის თავისუფლებას ჰგმობთო.

**სამშობლო ენის დევნა.**

როგორც კიევიდან „რუსკ. ვედ.“ატყობინებენ, ადმინისტრაციას აუკრძალავს პოლონელებისათვის სრულიად რუსეთის გამოფენაზე სამშობლო ენაზე ლაპარაკი.

**ექიმების გადაწყვეტილება.**

მოსკოვის უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტის გამოცდის გათავების შემდეგ, შეიკრიბნენ ახლად კურს დასრულებულნი ექიმები საჰიგიენო აუდიტორიაში და ერთხმად გადასწყვიტეს, არავითარ შემთხვევაში **არ დაესწრონ სიკვდილით დასჯის პროცედურას.**

# თეატრი და ხელოვნება

22 ივნისს, ქართულ თეატრში, ლადო მესხიშვილის ქალები: ნინო და ბარბარე მართავენ საინტერესო **მუსიკალურ-დრამატიულ საღამოს.** პროგრამა შედგენილია მრავალფეროვნად: წაიკითხავენ ლექსებს, დრამატიულ ნაწყვეტებს, დადგმული იქნება ერთ-მოქმედებიანი დრამა. თვით ნინო მესხიშვილის ასული იმღერებს ქართულ რომანსებს და სხვა.

**დ. ხაშური.** 7 ამ თვეს, ჩვენს დაბას ეწვია „მოგზაური დასი“, რომელშიაც შედიან ახალგაზრდა მსახიობნი: ქ. ბეჟანიშვილი, ბ.ბ. ივ ბარველი, კორიშელი, ყალაბეგიშვილი და ჩაგუნავა.

კვირას 9 ივნისს „დასმა“—ჩვენს ახალ თეატრში წარმოადგინა ორი პიესა: „შენი ჭირიმე“—შ. დადიანისა და ვოდევილი „თაიგული“. თუმცა ეს პიესები, თავის შინაარსით ახალს არაფერს წარმოადგენენ ქართულ სათეატრო რეპერტუარში, მაგრამ მსახიობთა დახელოვნებულმა თამაშმა, პიესებს სული ჩაუდგა და დამსწრე საზოგადოება სრულიად დააკმაყოფილა.

სამწუხაროდ წარმოდგენას მეტად ცოტა ხალხი დაესწრო და „დასმა“ იზარალა. ამას ხელი შეუშალა იმ გარემოებამაც, რომ წინა დღეს, ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა დასდგეს სუნდუკიანცის „პეპო“, რასაც ხალხი ბლომად დაესწრო, რადგან ბილეთები ხელმისაწდომ ფასად იყიდებოდა. „მოგზაურმა დასმა“ კი დიდი ფასები გამოაცხადა, რამაც ხალხი დააფრთხო. აი ეს იყო მიზეზი, რომ წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო. მსახიობთ სამგზავრო ფულიც კი აღარ დარჩათ და მათი აქედან ზესტაფონს გამგზავრება დამსწრე საზოგადოებამ იკისრა.

ასეთი სამწუხარო მოვლენა რომ აღარ განმეორდეს, ჩვენი „მოგზაური დასების“ საყურადღებოდ უნდა გამოვაცხადო, რომ, თუ ვინიცობაა მოისურვებენ ჩვენს დაბას ესტუმრონ ხოლმე, საჭიროა ერთი კვირით ადრე მაინც აცნობონ „ხაშურის დრამატიული წრის“ გამგეობას, რომელშიაც შედიან: ინჟინერი კონ. ძნელაძე, ექიმი მიხ. რატიანი, ვლად. ჩიქოვანი, კასსირები: დ. ჯუღელი, ალ. კორძაია და სიმ. დევდარიანი.

გამგეობა კიდევ, თავის მხრივ ყოველგვარ ღონეს იხმარს, რომ „დასების“ მატერიალური მხარე უზრუნველ ჰყოს ხოლმე.

**ნიკო გურული.**

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**12 თიბათვე.**

**უცხოეთი.**

**ლონდონი.** ბირმინგამში სადგურ ხეზველში სუფრაჟისტკები შეეცადნენ მგზავრთა ბინების დაწვას, მაგრამ ცეცხლი წაკიდებისთანავე ჩააქრეს.

გერმანელ ჯაშუშს ვილიამ კლერს ხუთი წლის კატორღა მიუსაჯეს.

პუანკარეს მოგზაურობის გამო პრესა ერთხმად აღიარებს, რომ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება არ უშლის ხელს, რომ ინგლისი სხვა ერებთანაც კარგ განწყობილებაში იყოს. პუანკარეს, მოგზაურობის დროს, ხალხი აღტაცებით ეგებება.

ელჩთა კონფერენციის სხდომა შესდგა. ახალი გადაწყვეტილება არ მიუღიათ. იტალიის ელჩმა განაცხადა, რომ მართალი არ არის ვითომც მარკიზ იმპერიალის ეთქვას; თუ აღძრული იქნება საკითხი იტალიის მიერ დაკავებულ კუნძულების შესახებ, კონფერენციის სხდომას არ დავესწრებითო. მან მხოლოდ უპასუხა, რომ იტალია ოსმალეთთან ხელშეკრულია და ამის გამო მონაწილეობას ვერ მიიღებს კამათში ოსმალეთზე ზედგავლენის შესახებ იმ მიზნით, რომ მან კუნძულები საბერძნეთს დაუთმოს.

**პარიზი.** საფინანსო კომისიის კომიტეტი, რომელსაც დავალებული აქვს ვალის ნაწილის ჩამოწერა, ოტომანის დეკლამაციის მიერ წარდგენილ ოსმალეთის ვალების ტაბლიცის განხილვას შეუდგა, რომლის მიხედვითაც განაწილებულია სესხი. ზოგიერთმა დელეგატებმა სხვა და სხვა ციფრების გამო თავისი მოსაზრებანი წარადგინეს. საკითხის არსებითად განხილვა შემდეგ კრებამდე გადაიდო. კრების დაწყებისას საბერძნეთის დელეგატმა ვალაორიტისმა მოკავშირეთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა ვალის განაწილების პრინციპების შესახებ.

**ლორაში.** ესპანელებს მტერთან ორი შეტაკება მოუხდათ: მათი მხრით მოკლულია ორი ოფიცერი და ოთხი ჯარის კაცი. მაროკოელებს მოუკლეს 27 კაცი.

**ამსტერდამი.** ნიდერლანდიის ბანკმა განაღდების ნორმა 4 პრ[illegible]ოც.-დან 5-მდე ასწია.

**სტოკჰოლმი.** ბრენდეჟოკი ქალაქისაკენ მოფრენის დროს ერთხელ დაეშვა შვეციის ნაპირებზე. რეველიდან სტოკჰოლმამდე გადმოფრენა სამნახევარი საათი მოანდომა. აქ პარასკევამდი დარჩება და შემდეგ პირდაპირ კოპენჰაგენისაკენ გაფრინდება.

**ლვოვი.** სტუდენტების გაფიცვა დასრულდა. გაზეთი „დელო“ იტყობინება რომ, 19 დან 21 ივნისამდე ლვოვში მოხდება უკრაინელ სტუდენტების მეორე კრება.

**რომი.** სომალიის გუბერნატორი დეპეშით იტყობინება, რომ საოპერაციო კორპუსი ბურაკიბუში შევიდა და ოლქი იტალიელების სამფლობელოდ გამოაცხადა.

**ბუბორი.** ინგლისელებმა კვინას ჯარი გადმოსხეს სოფ. დალგარში ეკზეკუციის ჩასაყენებლად. ეს გამოწვეულია ზღვის ყაჩაღების გაძლიერებით. გამოირკვა რომ მცხოვრებლებს სოფელი უკვე მიუტოვებიათ. ახლოს მყოფი 300 მომთაბარე ადგილობრივი მკვიდრნი თავს დაესხნენ ჯარისკაცებს, მაგრამ დამარცხდნენ. სოფელი ძლიერ დაზიანდა. ჯარი უკლებლად დ ბრუნდა გემებზე.

**ბელგრადი.** სერბიის სატელეგრაფო სააგენტომ ეხლახან მიიღო ცნობა, რომ 12 ივნისს ღამის პირველ საათზე ბულგარეთის ჯარი სრულიად უმიზეზოდ თავს დაესხა სერბიის ჯარს სლეტოვთან და რატკოვიცთან. ომი ჯერ არ დასრულებულა.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა პირველ კითხვის შემდეგ მიიღო ახალი კანონი საიმპერიო ქვეშევრდომობის შესახებ, რომელიც ძლიერ აძნელებს გერმანიის ქვეშევრდომობიდან სხვაგან გადასვლას, და აადვილებს გერმანიის ქვეშევრდომად გახდომას.

**სტამბოლი.** სამხედრო მინისტრმა იზეტ-ფაშამ სასიკვდილო განაჩენის ხელის მოწერაც არ მოისურვა და განაჩენის სისრულეში მოყვანამდე სამი დღით ადრე ჩათალჯაში წავიდა. განაჩენს ხელი საჭ[illegible] მინისტრმა მოაწერა. ერთ[illegible] მისჯილთაგანს შტაბის პოლკოვნიკს კემილ ბეის, რომელსაც ბევრის თანაგრძნობა აქვს დამსახურებული, ჩამოღრჩობის წინ აპატიეს სასჯელი.

სტამბოლში, უცხოელების კოლონია [illegible] ეჭვობენ, რომ სამხედრო სამართ[illegible]ოს განაჩენი სამართლიანი ყოფილიყოს; რადგანაც საქმე ხ[illegible] დაუ[illegible]წრებლად განიხილეს და სა[illegible]ამართლო ერთობისა და პროგრეს[illegible] ტეტის უბრალო იარაღი იყო. კომიტეტმა კი იაარგებლა შემთხვევით, რათა პოლიტიკური მოწინააღმდეგენი გაეწყვიტა თუმცა ოსმალები ერთი შეხედვით დამშვიდებულნი არიან, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ტერორის ეშინიათ, მხოლოდ საქმის ვითარება ისევ სერიოზულია.

**ჯულფა.** მესამე დღეა რაც სიმკო 600 ქურთით იზმაილ-კარდორს ებრძვის, შემდეგ კი თაზრო-ჯონგოს. ოსმალები უკანასკნელებს მიემხრნენ, რომელნიც ჩაესაფრნენ სპარსეთის ტერიტორიაზე. ორივე მხარეს დიდი დანაკლისი მოუვიდა. ოსმალებს 10 კაცი მოუკლეს და ბევრიც დაუჭრეს.

**რუსეთი.**

**სამარა.** ნიკოლაევის მაზრაში ქარიშხლის დროს დაიღუპა მრავალი ცხვარი, ცხენი და აქლემი. ზარალი 100.000 მ. აღემატება.

**ხარკოვი.** გაიხსნა საერობო დაწესებულებათა საზოგადო კრება სახალხო განათლების სტატისტიკის შესახებ.

**პეტერბურგი.** „ცნობის მიმწოდებელი ბიურო“ იუწყება, რომ ზოგიერთ გაზეთის ცნობა, თითქოს განსაკუთრებული წესების საკითხის გამო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და შინაგან საქმეთა მინისტრის შორის უთანხმოება ჩამოვარდაო, ყოველივე საბუთს მოკლებულია და არც სინამდვილ ს შეესაბამება.

**ოდესა.** რამდენიმე ქარხანა-ფაბრიკისა და იტალიის საკონსულოს დათვალიერების შემდეგ, იტალიელთა დელეგაცია სამშობლოში გაემგზავრა. ხალხმა „ვაშა“-ს ძახილით გააცილა იგი.

**პეტერბურგი.** აგვისტოში სამხედრო სამინისტრო მართავს სამხედრო საფრენ მანქანების საერთაშორისო გაჯიბრებას, რომლის მოწყობაც მინდობილი აქვს ღენერალურ შტაბს. ჯილდოდ დანიშნულია 55.000 მ.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო დეკანოზს კალისტრატე ცინცაძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულს ტობანიერის ორკლასიან სასწავლებელს 1910, 11 და 12 წ. ჟურნალი „განათლების“ ყველა ნომრები და სამღვთო სჯულის სახელმძღვანელო წიგნები, რიცხვით ოცდა-ათი.

ტობანიერი ორკლასიან სასწავლებლის გამგე **ლ. გოგოძე.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**


# მატარებელთა მიმოსვლა

(ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 12, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, **საგარაკო** დილ. 8 ს. 46 წ., № 67, **საგ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისაკენ:** **საფ.** № 4;3, შუადღ. 12 ს. 51 წ.

**ყარსისაკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისაკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, საფ. დილის 9 ს. 1 წ., № 11, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**- პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათუმიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევ.** ღამ. 2 ს. 12 წ.

# ექიმი ნინო რცხილაძე

ბერლინისა

იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს., ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახ. მაქარაშვილისა.

# სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-თხიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ-ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან, და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

# უფასო საექიმო დახმარება

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანოვი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შაგვერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

6—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 745).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

# თელავში

კახეთის რკინის გზის ახლო იყიდება: **ვენახები, სასახლე და სახნავი მიწები და გაუტეხავი ტყე.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ **ფოტოგრაფს ივ. ზ. ბარკალაიას** ქ. თელავში. 1216

# მასწავლებელი ს. ა. გრიაზნოვი

ამზადებს გიმნაზიისა, კომერციულისა და სამიწისმზომელო სასწავლებლ., საოსტატო ინსტიტუტისა და აფთიაქის შეგირდად, განმეორებითი გამოცდისათვის. მსურველთ მიიღებს სრულ პანსიონზე.

**ვერა**, იზმაილოვის მიახვევი, ბელინსკის ქუჩიდან სახლი 6, ბინა 8. 325

# ქალაქის საავადმყოფოები

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

# ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

# „606“ და „914“

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საზებიო და ქალების ავადმყ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

1004

გამოსულია და იყიდება

# ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**სამკურნალო გოგირდის აბანო „ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“,**

ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე **ახლად შეკეთებული** მოწყობილება ყოველ მხრივ და წესიერად.

კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილი 29% და 35%, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ბუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დამძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამხ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიანთ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115.

1674 **ძნ. სუმბათოვებისა.**

გამოსულია და იყიდება

# ი. გედევანიშვილის პიესა „გ ა მ ც ე მ ი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

# მუდამ დღე მოგვდის

თევზის მრეწველნი

# ძმ. ძევველოვები.

ახალ-ახალი

მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

ახალი მსხვილ-მარცვლოვანი

**ხიზილალა (ქიტკა).**

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის დოში, იანი, ჭიპა, ზურგიელები, სხვა ყოველ-ნაირი თევზეულობა და

# კონსერვები.

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

**ტელეფონი № 712.**